ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 14 აპრილი, 2021 | №63 (8592) | ფასი: 60 თეთრი

გიგი წერეთელი: „მოლაპარაკების პროცესი შეწყდა“

გვ.2

გვ.5

ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ ბიძაშვილის კომპანიას 187.000 ლარი მისცა

ნიკა მელიამ მოსამართლე ნინო ჩახნაშვილს მადლობა გადაუხადა

გვ.5

„მადლობა, რომ არსებობთ, რადგან ბრძოლის ჟინს მიათკეცებთ“

ჩახნაშვილმა მელია პატიმრობაში დატოვა

„მელია ივანიშვილმა დაიჭირა, ასეთი საკითხები დაბალ დონეზე არ წყდება“

გვ.2

ეკა ბესელია: „სასამართლომ მორიგი ტესტი ჩააგდო... კობახიძის არდაკითხვა დასტურია, რომ „ოცნებასა“ და სასამართლოს შორის კონტრაქტია დადებული“

„კობახიძე რომელი ლიდერია?! მას მხოლოდ ტექნიკური საკითხებისა და „შავი სალაროს“ წარმოება შეუძლია“

„ნამახვანჰესით დავითგარეჯი მიაჩუმათეს“

გიგლა ბარამიძე: „მოლაპარაკებები პირდაპირ ეთერში უნდა გავიდეს“

გვ.4

„ივანიშვილის გეგმაა, ნატოში შესვლაზე ხალხმა თქვას უარი“

გვ.3

მამუკა გვაძაბია: „რუსეთს აფხაზეთი აღარ სჭირდება“

გია ვოლსკი: „სააკაშვილს არც განმეორებითი არჩევნები აინტერესებს და არც რიგგარეშე“

გვ.2

გაიაფებული „რიყის დოქები“ ისევ არავინ იყიდა

გვ.3

ISSN 1987-9385

4 ამირან გამყრელიძე: „კორონავირუსის 18-მდე კლასტერია“

5 პროკურატურამ დავით კოდუას ბრალდება წარუდგინა

5 შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 993 ფაქტი გამოავლინა

6 ზელენსკი: „უკრაინა აგრესორის დასახვედრად მზადაა“

„მელია ივანიშვილმა დაიჭირა, ასეთი საკითხები დაბალ დონეზე არ წყდება“

ეკა ბესელია: „სასამართლომ მორიგი ტესტი ჩააგდო... კობახიძის არდაკითხვა დასტურია, რომ „ოცნებასა“ და სასამართლოს შორის კონტრაქტია დადებული“

იაგო ნაცვლიშვილი

გუშინ ნიკა მელიას სასამართლო პროცესი გაიმართა და როგორც მოსალოდნელი იყო, მოსამართლემ პატიმრობაში დატოვა „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე. მოსამართლისთვის დაცვის მხარის არგუმენტებზე მეტად „წონადი“ პროკურატურის შუამდგომლობა გამოდგა. მოსამართლემ არც ირაკლი კობახიძის დაკითხვას დაუჭირა მხარი. სამაგიეროდ, მელია დარბაზიდან გააძევა მისი პატიმრობაში დატოვების გადაწყვეტილებისა და იმის შემდეგ, რაც მან ჩინჩალაძესთან მოკითხვა დააბარა.

რამდენად მოსალოდნელი იყო მოსამართლის გადაწყვეტილება და რას ნიშნავს ეს? ვინ აიღო მელიას დაპატიმრების სპეცოპერაცია საკუთარ თავზე? რა გადაწყვეტილებებს იღებს კობახიძე და რა საკითხებს წყვეტს პირადად ბიძინა ივანიშვილი? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერი და „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი **ეკა ბესელია** საუბრობს.

– გაამართლა თუ არა თქვენი მოლოდინი სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომლითაც მელია დატოვეს პატიმრობაში და რა გითხრათ დღევანდელმა სასამართლომ თქვენ, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე კარგად ხართ ჩახედული სისტემაში?

– გუშინ სასამართლოს ჰქონდა მორიგი გამოცდა, მორიგი ტესტი და მან ამ გამოცდას ისევ ვერ გაუძლო. გუშინდელი სასამართლო პროცესის დროს სასამართლო ისევ პოლიტიკური გადაწყვეტილების გამხმოვანებელი იყო. ეს იყო ის, რაც მოხდა.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს იმაზე, ველოდი თუ არა, იცით, როგორი რაღაცაა? – რასაც ლოგიკურად ფიქრობ, რომ უნდა მოხდეს და ხელისუფლებას დღეს უნდა აწყობდეს მელიას გათავისუფლება, იმის საწინააღმდეგოს აკეთებს. ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკას არ მიყვებიან. ამიტომაც არის ასეთი ალიაქოთი ქვეყანაში, ქაოსი და უთავბოლო სიტუაცია, როდესაც ვითარება ვერ ლაგდება. აი ამიტომ.

– ახსენეთ, რომ ხელისუფლებას უნდა აწყობდეს მელიას გამოშვებაო და რატომ აწყობდა? რას მოიგებს ამით?

– ხელისუფლებას ეს უნდა აწყობდეს მარტივი რამის გამო. ორი მიზეზია: პირველი, უნდა დაისვას კითხვა იმაზე, რომ მელიას დაპატიმრებამ მეტი ზიანი მოუტანა „ქართულ ოცნებას“ თუ სარგებელი. ზიანი მოუტანა იმიტომ, რომ პოლიტიკურ პროცესში შემოიტანა დაძაბულობა და ახალი კრიზისი და ეს სწორედ ამ გადაწყვეტილებამ განაპირობა.

მეორე, საერთაშორისო საზოგადოების რიტორიკა შეიცვალა და მათი კრიტიკა მკვეთრად გამწვავდა მელიას დაპატიმრების შემდეგ. ანუ ამ პროცესმა ნეგატიური პროცესი გამოიწვია ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. ახლა მითხარით, რატომ არ უნდა აწყობდეთ გამოშვება?!

„კობახიძე რომელი ლიდერია?! მას მხოლოდ ტექნიკური საკითხებისა და „შავი სალაროს“ წარმოება შეუძლია“

ლოგიკაში ასეა, მაგრამ რაც ლოგიკაში სწორია, ესენი მის საწინააღმდეგოს აკეთებენ.

– მეორე მხრივ, 15 მაისის აქციებია წინ და რაში აწყობთ 15 მაისს გარეთ მელია? ასეც ხომ შეიძლება შევხედოთ?

– კი, შეიძლება ასეც შევხედოთ, მაგრამ რომელი უფრო პრობლემაა – გარეთ თუ შიგნით? ასე შევხედოთ, რომელი უფრო პრობლემატური საკითხია ხელისუფლებისთვის – მელია 15 მაისს გარეთ იქნება თუ შიგნით? გარეთ რომ იქნება, რას იზამს? – რევოლუციას ხომ ვერ მოაწყობს? შიგნით ყოფნისას ხომ კიდევ უფრო იზრდება უკმაყოფილება გარედან და შიგნიდან?!

– ფიქრობთ, რომ გუშინ მიღებული გადაწყვეტილება პირადად ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებაა თუ უფრო დაბალ ეშელონებში გადაწყდა?

– არა, დაბალ ეშელონებში ალბათ ვერ იღებენ ასეთ გადაწყვეტილებას.

– ანუ, ბიძინას დონეზე გადაწყდა?

– ეს ისეთი დონის გადაწყვეტილებაა, რომლის დაბალ დონეზე მიღება ძნელი წარმოსადგენია.

– მელიამ თქვა, რომ გახარია მის გამო არ გადამდგარა, თორემ არ მიიღებდნენ მისთვის იმუნიტეტის მოხსნის გადაწყვეტილებას გახარიას თანაგუნდელები. თქვენ როგორ უყურებთ საკითხს, თქვენც დაინახეთ თუ არა ამ პერიოდში ეს?

– გახარიას საკითხი კიდევ განსხვავებულია. იმიტომ, რომ გახარიამ იგრძნო, რომ მაშინ, იმ სიტუაციაში თავის თავზე უნდა აეღო ასეთი სპეცოპერაციის ჩატარება და რატომ უნდა აეღო მას თავის თავზე?! მაშინ როდესაც, ისედაც ჩანდა, რომ მის მიმართ იყო საკმაოდ დაძაბული ვითარება და ხომ გამოჩნდა შიდა განწყობები, რომ შიდა დაპირისპირება არსებობდა?! ამიტომ, რატომ აიღებდა გახარია თავის თავზე? – ბუნებრივია, არ აიღებდა და შესაძლოა ზუსტად ის დრო მონახა გადაწყვეტილების მისაღებად, როდესაც ყველაზე სწორი იყო ამის გაკეთება.

– გახარიას გადადგომის შემდეგ სპეცოპერაციის ჩატარება ვინ აიღო თავის თავზე – ღარიბაშვილმა, კობახიძემ თუ შს მინისტრმა?

– არც ერთმა. ეს გააკეთა ივანიშვილმა.

– საერთაშორისო საზოგადოების თვალშიც ასეა, რომ ივანიშვილს მიეწერება?

– დიახ. იმიტომ, რომ არც ერთი არ არის ლიდერი, ვინც თქვენ ჩამოთვალეთ. კობახიძე რის ლიდერია?! კობახიძეს რისი გადაწყვეტილების მიღება შეუძლია? კობახიძეს შეუძლია ტექნიკური საკითხები გადაწყვიტოს და პარტიის შავი სალარო აწარმოოს. რაღაცები აკეთოს შიდა ტექნიკურ დონეზე და კობახიძეს ნამდვილად არ შეუძლია ასეთი გადაწყვეტილებების მიღება. წარმოუდგენელია, რომ მის დონეზე წყდებოდეს ასეთი გადაწყვეტილებების მიღება.

– მაშინ მოსამართლემ რატომ არ დაუჭირა მხარი მის გამოკითხვას?

– რატომ გამორიცხავს ერთი მეორეს?!

რაც შეეხება იმას, რატომ არ დაუჭირა მხარი მოსამართლემ, ეს მოხდა იმიტომ, რომ დისკომფორტი არ შეუქმნა პოლიტიკურ გუნდს, რომ კობახიძის დაკითხვა გადაეწყვიტა სასამართლოს. ეს ხომ იქნებოდა დისკომფორტი. ეს მაგალითი ნიშნავს იმას, რომ ერთნი არიან – კონტრაქტია დადებული სასამართლოს და „ქართულ ოცნებას“ შორის.

– ოპოზიციის გეგმებში რაიმე კორექტირებას ხომ არ უნდა ველოდოთ?

– არ ვიცი. მე არ ვარ ჩართული აქციების ორგანიზებაში. ჩვენ ვიღებთ კონსულტაციების ფორმატში მონაწილეობას, მაგრამ საპროტესტო აქციებს რაც შეეხება, იქ ჩვენ ადამიანური და პარტიული რესურსით არ ვმონაწილეობთ.

– აქციაზე იქნებით?

– აქციაზე შეიძლება მივიდე. ზოგადად ამ აქციას მხარს ვუჭერ, მაგრამ მის ორგანიზებაში ჩართული არ ვარ.

გიგი წერეთელი: „მოლაპარაკების პროცესი შეწყდა“

– მელიას პატიმრობაში დატოვებით მოლაპარაკების ფანჯარა დაიხურა, სარკმელი შეიძლება ღია იყოს და ისიც რომ მთლად არ დაიხუროს, ხელისუფლებას, მე ვფიქრობ, რაღაც გეგმა უნდა ჰქონდეს.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

მისი თქმით, ხელისუფლებაში იციან, რომ ნიკა მელიას საპატიმროში დატოვების შესახებ გადაწყვეტილებას დასავლეთის მხრიდან რეაქციები მოჰყვება, ამიტომ პარტიის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბრიუსელში, რეაქციების შერბილებას ან ჩაქრობას ემსახურება.

– ყველა ერთად უნდა ვფიქრობდეთ, როგორ წავიდეთ შეთანხმებისკენ. დღეს ხელისუფლებამ თქვა: „მე შეთანხმება არ მინდა!“ მას ჰქონდა საშუალება ეს გაეკეთებინა და არავინ მას არ გაამტყუნებდა, ჩაითვლებოდა, რომ არის სწორი, თან პლუს, მთელი მსოფლიო გეუბნება, რომ განმუხტე ეს ვითარება, გადადგი ნაბიჯი.

ხელისუფლებას რომ მეტი პასუხისმგებლობა აქვს, არაერთხელ ითქვა. დარწმუნებული ვარ, რაღაც გეგმა აქვთ. კობახიძე წავიდა ამერიკაში, წავიდა ბრიუსელში, მათ იციან, რომ მელიას არგამოშვების ამ გადაწყვეტილებას რაღაც რეაქცია მოჰყვება, ახლა, ალბათ, ამ რეაქციების შესარბილებლად ან ჩასაქრობად იქნება ეს ვოიაჟი. ოპოზიციაში ამაზე მსჯელობა აუცილებლად გაიმართება, მაგრამ ამ გადაწყვეტილების შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს პროცესი არის შეწყვეტილი ამ მომენტისთვის, მე ასე ვხედავ ამას, არავითარი აზრი ახლა არ აქვს, – განაცხადა წერეთელმა.

მისივე განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილება ძალიან ცუდი გზავნილია ქვეყნის გარეთაც და ქვეყნის შიგნითაც და ამყარებს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლოა.

– რაღაც გარკვეული მოლოდინი არსებობდა, უფრო ოპტიმისტებში, რომ შესაძლებელია გადაწყვეტილება მიღებული ყოფილიყო და მიღებული ყოფილიყო იმგვარად, რომ მელია გათავისუფლებულიყო, ამის ყოველგვარი საფუძველი არსებობდა, ყველანაირი ლოგიკაც ამაზე მეტყველებს და ის ადამიანებიც, ვინც ესწრებოდნენ სასამართლო პროცესს, ძალიან აღშფოთებულები არიან. ყოველთვის, როდესაც არის პოლიტიკური დიქტატი სასამართლოზე, ზეწოლა და სხვა, სასამართლო ასე გამოიყურება და ყოველთვის ასეთი მძიმე შთაბეჭდილება რჩება, როდესაც არ არის რეალურად მართლაც დაბალანსებული სამართლის

პრინციპები, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

კარგი ამბავი ამ ცუდ ისტორიაში ის არის, რომ დასავლეთი და საქართველოს სტრატეგიული მეგობრები არ ფიქრობენ, რომ გავიდნენ აქტიური მოლაპარაკების პროცესიდან.

– რაღაც ახალზეა ფიქრი, დანიელსონის ვიზიტებმა თუ ვერ მოიტანა შედეგი, ახლა, ალბათ, უფრო სერიოზული ინიციატივები შეიძლება იყოს და ერთ-ერთი არის ჩვენი ბალტიელი მეგობრების ინიციატივა, კონკრეტულად, ლიეტუველი კოლეგების – როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრს გარკვეულწილად მიმართვა ჰქონდა, რომ რაღაც გაძლიერდეს და ახალი ინსტრუმენტები გაჩნდეს. ძალიან კარგი იქნება თუ ჩამოვლენ საგარეო საქმეთა მინისტრები და ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შეახსენებენ, რა პასუხისმგებლობა აქვს მას ამ საქმეში, – განაცხადა წერეთელმა.

გია ვოლსკი: „სააკაშვილს არც განმეორებითი არჩევნები აინტერესებს და არც რიგგარეშე“

– ჩემგან გადაეცით, რომ მოლაპარაკების პერსპექტივა არსებობს. თუ არ მოვლენ მოლაპარაკებაზე, ამით დაამტკიცებენ, რასაც ვამბობდი, რომ არც განმეორებითი, არც რიგგარეშე არჩევნები არ არის სააკაშვილის ინტერესებში.

ასე პასუხობს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი ოპოზიციაში გაკეთებულ განცხადებებს, რომლის თანახმადაც, ვიდრე პოლიტიკური პატიმრები ციხეში რჩებიან, „ქართულ ოცნებასთან“ არავითარ შეთანხმებაზე საუბარი არ იქნება.

მისი თქმით, რეალურად მოლაპარაკების ჩიხში შეყვანა მათ სურთ, ვინც მელიას პატიმრობაში დატოვებას ცდილობს.

– სწორედ ეს არის იდეა – ჩიხური ვითარების შექმნა, როცა მელია არ აღიარებს კანონს, ამას დემონსტრაციულად აკეთებს, ადვოკატები დემონსტრაციულად ცდილობენ და ითხოვენ, რომ მელია დარჩეს საპატიმროში და ამით შექმნან ჩიხური ვითარება, რათა არ მოხდეს მოლაპარაკების მაგიდასთან მისვლა. მე დეტალებზე საუბრისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ყველა საკითხთან მიმართებაში კომპრომისული ნაბიჯების მოძებნა არის შესაძლებელი, მაგრამ რეალურად არის შექმნილი ასეთი სურათი, რომ ისინი ცდილობენ ჩიხში შეიყვანონ ვითარება. საერთაშორისო თანამეგობრობა და ჩვენ ვცდილობთ, რომ როგორმე ამ ჩიხიდან გამოვიდეთ.

მე ვფიქრობ, რომ სწორედაც მოლაპარაკების ჩიხში შეყვანას ცდილობს ის ხალხი, ვინც ცდილობს, რომ მელია დატოვოს საპატიმროში. მოლაპარაკების პერსპექტივა არსებობს რა თქმა უნდა, ჩემგან გადაეცით მათ, რომ მოლაპარაკების პერსპექტივა არსებობს.

თუ არ მოვლენ მოლაპარაკებაზე, ამით დაამტკიცებენ, რასაც ვამბობდი არჩევნების წინ მეც და ჩემი კოლეგებიც, რომ არჩევნები ზოგადად, თუნდაც რიგგარეშე, თუნდაც განმეორებითი, არ არის სააკაშვილის ინტერესებში, აბსოლუტურად ნათელი გახდა ეს სურათი, – განაცხადა ვოლსკიმ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილის გეგმაა, ნატოში შესვლაზე ხალხმა თქვას უარი“

მამუკა გვაძაბია: „რუსეთს აფხაზეთი აღარ სჭირდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გვაძაბია პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების და იქ არსებული სიტუაციის შეფასებით დავიწყოთ. თქვენთვისაც ცნობილია, გასულ კვირას რა ტრაგედიაც დატრიალდა მდინარე ენგურზე. რამდენად მძიმეა სიტუაცია? რამდენად უჭირთ იქით დარჩენილებს?

– სიტუაცია მართლაც მძიმეა. მე ამ საკითხებზე არც გადმოცემით ვსაუბრობ და არც სხვის ნათქვამს ვიმეორებ. ძალიან ბევრი ახლობელი, ნათესავი და ოჯახის წევრი მყავს არა მარტო გალში, არამედ სოხუმშიც. ძალიან უჭირთ იქ დარჩენილებს. რუსეთის დახმარების ხელიც აღარ აქვთ დიდად. რუსეთს არ სჭირდება ეს რეგიონი და ამას კარგად ვხედავთ. რუსეთი აფხაზეთს არ ეკიდება ისე, როგორც, მაგალითად, ყირიმს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ადრე თუ გვიან, რუსეთი დათმობს აფხაზეთს. აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებაც საკმაოდ აფორიაქებულია ამ ფაქტით.

– რამ ააფორიაქა?

– მათ აქვთ ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლებასა და რუსეთის ხელისუფლებას შორის კულუარულად მიმდინარე მოლაპარაკებებზე, მათ კავშირებზე. აფხაზებს შიში აქვთ, ვაი თუ საქართველო გაურიგდა რუსეთს და აფხაზეთი კვლავ შევიდეს საქართველოს შემადგენლობაში. აი რა აფორიაქებთ. ამ წლების განმავლობაში მიეჩვივნენ ცალკე ყოფნას, კვაზი სახელმწიფოდ გრძნობენ თავს, იმის მიუხედავად, რომ არავის უღიარებია. სამწუხაროდ, საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ, ვერც ძველმა და ვერც ახალმა, ადეკვატურად ვერ იმოქმედა იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რა პრობლემებიც ჩვენ შორის არის. დამერწმუნეთ, შესაძლებელია ისეთი პოზიციის აგორება, რომ ამ პოზიციას აფხაზეთშიც ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდეს. თუმცა ამას არ თუ ვერ აკეთებს ვერც ერთი ხელისუფლება. განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში, აფხაზ თაობას ვგულისხმობ, ეს მუხტი ღიად იგრძნობა.

– ახლა რა ხდება, რა სიტუაციაა?

– ეს პრეისტორია იმიტომ მოვყევი, რომ გალის ქართველური მოსახლეობა ძალიან შევიწროებული ჰყავთ. მართალია ისეთი რადიკალური ქმედებები აღარ არის, რაც წინათ იყო, რომ კლავდნენ, წვავდნენ, სახლ-კარს უწვავდნენ, დღეს ეს არ ხდება. თუმცა დღეს იქ ქართველების მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. რა ზეწოლა არ მიდის მათზე, მაგრამ პოზიციები ვერ შეაცვლევინეს. შარშან 170 ბავშვმა დაამთავრა სკოლა გალის რაიონში და აქედან 140 წამოვიდა საქართველოსკენ. გაოგნებულები იყვნენ ამ შედეგით იქაური ადმინისტრაცია. ჩვენ ვასწავლეთ, ჩვენ დავამთავრებინეთ და მაინც იქით მიდიანო. ანუ ვერანაირი ზეწოლის შედეგად ვერ მოხდა მათი გადაბირება.

– რატომ უწევთ მდინარის გადმოცურვა და ამხელა რისკი? სიცოცხლეს იგდებენ საფრთხეში.

– მდინარის გადალახვა უწევთ იმიტომ, რომ ასე უფრო მარტივია ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრა. რის ფასად უჯდებათ გალში მცხოვრებ ქართველებს ქართველობის შენარჩუნება და ჩვენი ხელისუფლების მხრიდან არანაირი ხელშეწყობა არ აქვთ. სავსეა აფხაზი მოქალაქეებით ჩვენი კლინიკები, უტარებენ ძვირადღირებულ ოპერაციებს, დაფინანსებასაც აძლევენ, ეს ძალიან კარგია, ეს პოლიტიკაა, მაგრამ როდესაც გალის რაიონიდან შემოდის და ის ქართველია, მას რატომ არ ეხმარებიან?! იქ საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება გმირობის ტოლფასია. ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ.

– მძიმე პირობებში უწევთ ცხოვრება?

– ძალიან. ამ ადამიანებს დახმარება და თანადგომა სჭირდებათ. მათ ენგურის გადალახვა იმიტომ უწევთ, რომ ელემენტარულად, ადამიანურად რომ იგრძნონ დანარჩენ საქართველოში თავი. იქ ძალიან ძვირია ყველაფერი, თანაც აქეთ გარკვეულ დახმარებებს იღებენ... იმ კაცს შვილიშვილი შეეძინა, მოდიოდა აქეთ, გამოეკიდა ავტომატიანი და ძაღლიანი კაცი და შევარდა ადიდებულ ენგურში, სადაც დაიხრჩო. ამაზე მეტი უბედურება რა გინდა?! საქართველოს ხელისუფლება კიდევ რას აკეთებს?!

– რას აკეთებს?

– ამ ადამიანებისთვის, რომლებიც იქიდან გადმოდიან, დააწესა ხუთდღიანი კარანტინი. რაში სჭირდებათ კარანტინი, ესენიც ხომ მისი ქვეყნის მოქალაქეები არიან.

– სერიოზული პროტესტი იყო გასულ კვირას ამასთან დაკავშირებით...

– რა თქმა უნდა, გასაპროტესტებელია აბა რა არის! იქიდან გადმოსულს შენს მოქალაქედ თუ აღიქვამ, ხუთდღიან კარანტინს რატომ უწესებ?! ე.ი. რაღაც საზღვარს აღიარებ, არაკანონიერ, საოკუპაციო საზღვარს. ირიბად ეს ამას ნიშნავს, რომ საზღვარს აღიარებ. სწორედ ამიტომ შედიან მდინარე ენგურში. როგორია, ორი კილო შაქრის და ფქვილის საყიდლად რომ გადმოდიან ზუგდიდში და ამისთვის ხუთდღიანი კარანტინის გავლას სთხოვენ. ამ ყველაფერს რომ მოერიდონ, ამიტომაც გადმოდიან მდინარით. აი ასეთი რთული სიტუაციაა. მე ამ ყველაფერში ლოგიკას ვერ ვხედავ. რა ლოგიკით ექცევიან ასე ადამიანებს?! მათაც მოექეცი ისე, როგორც შენს დანარჩენ მოქალაქეებს ექცევი. ერთი ქალაქიდან მეორეში რომ მივდივართ, ხუთდღიან კარანტინში ვართ?! ათასი მეთოდი არსებობს, ჩაუტარე სწრაფი ტესტირება და დაუდგინე, აქვს თუ არა კოვიდი და გამოუშვი, რად უნდა ამას ხუთი დღე?! იმ რაოდენობის ხალხი ნამდვილად არ გადმოდის, რომლის გაკონტროლებაც შეუძლებელი იქნებოდა. რასაც ჩვენი ხელისუფლება აკეთებს, ეს



არის უსულგულობა! მავნებლები არიან და ამ ხელისუფლებისგან არაფერია გასაკვირი. როგორი უგულო უნდა იყო, რომ ასე მოექცე შენს მოქალაქეებს.

– რა სიტუაციაა დღეს. მიმდინარეობს მხარეებს შორის რაიმე მოლაპარაკება? როდესაც აცხადებთ, რომ იკვეთება ისეთი სიტუაცია, რომ შესაძლოა მალე რუსეთმა აფხაზეთი დაგვიბრუნოს. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

– მე არ ვარ ის ადამიანი, რომ ყურით მოთრეულ თემებზე ვისაუბრო. საკმაოდ ბევრი წელი ვიცხოვრე რუსეთში და იქ საკმაოდ დიდი კავშირები მაქვს. მე გამოძევებული ვარ იქიდან და დღესაც არ შემიძლია შესვლა. როდესაც ვსაუბრობ, რომ მოლაპარაკებები მიდის, ეს არ არის ღია მოლაპარაკებები, ეს ხდება ფარულად და ეს მხოლოდ ორმა კაცმა იცის, აქ ბიძინა ივანიშვილმა და იქ, ვისაც აგზავნის იმან. არის მოლაპარაკების მცდელობა და იმის მცდელობა, რომ რუსეთი დაარწმუნონ, ჩვენთვის ხელსაყრელი ნაბიჯი გადმოდგას. ანუ მოხდეს დევნილების დაბრუნება ხელისუფლების ეგიდით. მერე ჩვენმა ხელისუფლებამ რომ თქვას, რა ნატო, რის ნატო, რუსეთი ტერიტორიებს გვიბრუნებს, თუ ნატოში შევალთ, საერთოდ დავკარგავთ ამ ტერიტორიებს. აი ამ პროპაგანდაზე მიდის ახლა კომუნიკაციები. ცდილობენ შეცვალონ პროდასავლური განწყობები მოსახლეობაში.

ქუთაისის აეროპორტიდან „ვიზეარი“ ფრენებს 18 აპრილიდან განაახლებს

18 აპრილს, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან, რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, პირველ რეისს უნგრული ავიაკომპანია „ვიზეარი“ შეასრულებს. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, აღმოსავლეთ ევროპის უმსხვილესი დაბალბიუჯეტიანი გადამზიდავი ქუთაისიდან რეგულარულ რეისებს განაახლებს ვარშავისა და ვილნიუსის მიმართულებით, მაისიდან კი – ფრენებს რიგისა და დორტმუნდის მიმართულებითაც დაიწყებს.

ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, „ვიზეარი“ ივნისიდან ფრენებს ევროპის კიდევ 13 მიმართულებით ეტაპობრივად განაახლებს.

ამასთან, ცნობილი ხდება, რომ საქართველოს ავიაბაზარზე კიდევ ერთი დაბალბიუჯეტური ავიაკომპანია შემოდის.

მიმდინარე წლის მაისიდან ყაზახური ავიაგადამზიდავი „ფლაიარისტანი“ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ოპერირებას იწყებს. აქტაუ, ატირაუ და ნურ-სულთანი – ეს ის სამი ახალი მიმართულებაა, საიდანაც რეგულარული ფრენები ქუთაისის აეროპორტში განხორციელდება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, გურამ გურამიშვილის განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში არსებული გლობალური გამოწვევების ფონზე, ჩვენს ქვეყანაში შემოდის კიდევ ერთი დაბალბიუჯეტური ავიაკომპანია, რომელიც შეასრულებს რეგულარულ რეისებს სწორედ ქუთაისის განახლებული აეროპორტიდან.

– 2020 წელს, რომელიც თავისი გამოწვევებით იყო ერთ-ერთი ურთულესი წელი, საქართველოს მთავრობამ შეძლო ორი საერთაშორისო აეროპორტის განახლება-გაფართოება, მათ შორის არის ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტი, რომლის მგზავრთა გამტარუნარიანობაც გაოთხმაგდა, რაც ქვეყანაში კიდევ ერთი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიის ოპერირების დაწყების მნიშვნელოვანი საფუძველია, – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

მისივე შეფასებით, ავიაბაზარზე მიმდინარე პროცესიც ადასტურებს, რომ საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაწყებულია და მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის საფრთხეები ჯერ არ მოხსნილა, საავიაციო სფეროში მნიშვნელოვანი პოზიტიური პროცესები მიმდინარეობს.

ლაგოდეხში კორონავირუსის გავრცელება, სავარაუდოდ, ეკლესიის მრევლის „კლასტერს“ უკავშირდება



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში კორონავირუსის გავრცელება, სავარაუდოდ, ეკლესიის მრევლის „კლასტერს“ უკავშირდება.

კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების ზრდის გამო, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში გაფართოებული ტესტირება იგეგმება.

აღნიშნულ მუნიციპალიტეტში კორონავირუსის გავრცელება, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ეკლესიის მრევლის „კლასტერთან“, საიდანაც უკვე 48 ადამიანი დაინფიცირდა.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის კახეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ნელი ხიზანიშვილმა განაცხადა, ინფიცირებულებს შორის არიან სასულიერო პირები, ბავშვები და პედაგოგები. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია.

ამასთან, დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადავიდა ლაგოდეხის მესამე და სოფელ მაწიმის საჯარო სკოლები.

გაიაფებული „რიყის დოქები“ ისევ არავინ იყიდა

„რიყის დოქების“ საპრივატიზაციო აუქციონი ისევ უშედეგოდ დასრულდა – ობიექტი არც ამჯერად იყიდა ვინმემ. ხელახალ აუქციონზე გამოტანილი კომპლექსის საწყისი ღირებულება 71.2 მილიონი ლარი იყო. აუქციონი დღეს 17:00 საათზე შედეგის გარეშე დაიხურა.

შეგახსენებთ, რომ მთავრობამ „რიყის დოქების“ საპრივატიზაციო აუქციონი მესამედ, 30 მარტს გამოაცხადა. თავდაპირველად აუქციონი 2020 წლის დასაწყისში გამოცხადდა, მაშინ ობიექტი 95 მლნ ლარად იყიდებოდა, თუმცა ის არავინ იყიდა. უკვე შემდგომი აუქციონი 2021 წლის მარტში გამოცხადდა, კომპლექსის საწყისი ღირებულება 71.25 მლნ ლარი იყო, თუმცა ისიც უშედეგოდ დასრულდა. მესამედ „რიყის დოქებზე“ აუქციონი მთავრობამ აპრილის დასაწყისში გამოაცხადა. ამჯერადაც ობიექტის საწყისი ღირებულება 71,25 მლნ ლარი იყო.

საინვესტიციო პირობების მიხედვით, ობიექტის შემძენმა ადგილზე 36 თვის ვადაში მრავალფუნქციური კომპლექსი უნდა მოაწყოს. პროექტის საინვესტიციო ვალდებულება 10 მილიონი ლარია.

– შემძენმა პირადად ან მესამე პირის მეშვეობით შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე მრავალფუნქციური კომპლექსის (რაც უნდა მოიცავდეს, მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს), საგამოფენო სივრცე(ებ)ს/დარბაზ(ებ)ს) ან/და სასტუმროს) შექმნა, შესაბამისი შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღება და კომპლექსის ფუნქციონირების დაწყება.

შემძენმა პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება უნდა უზრუნველყოს, – ნათქვამია აუქციონის პირობებში.

ცნობისათვის, თბილისის ცენტრში მდებარე ობიექტის მშენებლობა, რომელიც 75 მლნ ლარი დაჯდა, 2013 წელს დასრულდა, თუმცა მას შემდეგ ის უფუნქციოდ არის მიტოვებული.

ირაკლი ჯინჭარაძე ბათუმის ბულვარის დირექტორობიდან მოხსნეს

ბათუმის ბულვარის დირექტორი ირაკლი ჯინჭარაძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ ირაკლი ჯინჭარაძემ დაუდასტურა.

მისი თქმით, ხელისუფლებამ მასზე შური იძია.

ირაკლი ჯინჭარაძე ამბობს, რომ გათავისუფლების შესახებ ცნობა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან ჯერ არ მიუღია.

– თანამდებობიდან გათავისუფლება, რა თქმა უნდა, კავშირშია ჩემს განცხადებასთან, რომელიც „ლემერიდიანთან“ დაკავშირებით გავაკეთე. ეს არის მათი დასასრულის დასაწყისი. მე სამსახურს ვნახავ, არ გამიჭირდება. მედიასაშუალებით გავიგე, რომ გამიშვეს სამსახურიდან. არაფერი დამიშავებია და არაფერი მომიპარავს. თითქოს რაღაც შეცდომა ნახეს და რაღაცას იგონებენ. ყველაფერს საზოგადოება ნახავს. მათ დამსაჯეს. ეს მოსალოდნელი იყო, რადგან სამსახურის ლიკვიდაცია ვერ მოახდინეს და ეს ფორმა გამოიყენეს. გათავისუფლების შესახებ განცხადება არ ჩამბარებია. ხვალ დამატებით კომენტარს გავაკეთებ, ახლა ეიფორიაში ვარ, – განაცხადა ირაკლი ჯინჭარაძემ.

30 მარტს ბათუმის საკრებულოში სხდომა ხმაურის ფონზე ჩატარდა. უმრავლესობის წევრებს ბათუმის ბულვარის მოქმედი დირექტორი ირაკლი ჯინჭარაძე დაუპირისპირდა. მან სიტყვით გამოსვლა ითხოვა და განაცხადა, რომ ბულვარის ტერიტორიაზე ერთ-ერთი სასტუმროსთვის პლაჟის ნაწილის 15 წლით იჯარით გადაცემა არ უნდა მოხდეს.

მან აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება დანაშაული იქნებოდა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„ნამახვანჰესით დავითგარეჯი მიაჩუმათეს“

გიგლა ბარამიძე: „მოლაპარაკებები პირდაპირ ეთერში უნდა გავიდეს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე ზოგიერთ პროცესსა და დაგროვილ პრობლემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა დამოუკიდებელ პოლიტიკოს გიგლა ბარამიძეს.

– ქვეყანაში კრიზისული სიტუაცია ბევრ სფეროშია, განსაკუთრებულ ყურადღებას კი მაინც რიონის ხეობა იპყრობს. საზოგადოებას გაუჩნდა აზრი, რომ ხელისუფლება ნამახვანჰესის მშვიდობიან მოწინააღმდეგეებს ძალისმიერ მეთოდებს უპირისპირებს.

– ნამახვანჰესის მშენებლობის პროექტი თავიდანვე აჩენდა ბევრ შეკითხვას. მოსახლეობის პროტესტი სავსებით გასაგებია. ყველას გვაქვს კითხვები ამ თემაზე. ხელისუფლება ხალხს ნორმალურად უნდა დაელაპარაკოს და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ახსნას, რა, რისთვის და რატომ კეთდება. დიდი ჰესი და ელექტროენერგია რომ საჭიროა, ეს გავიგეთ. ამაზე მეტს არაფერს ამბობენ. არადა, ბუნდოვანია ბევრი საკითხი. თუნდაც, მიწების გასხვისება. არ მესმის, რა აუცილებელი იყო მისი ერთი მონაკვეთის გაყიდვა და მეორე მონაკვეთის 100 წლით იჯარით გადაცემა?! სულ ერთია, ვინ აშენებს ამ ჰესს – „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო ქისტი“. ეს ხომ შენი ტერიტორიის გასხვისებაა. დავითგარეჯი თითქოს ყველას დააკარგინეს. არადა, რა შეიცვალა? პრობლემა მოგვარდა? საზღვრის დადგენის კომისია მუშაობს? არიან თუ არა მეზობელი ქვეყნის ჯარისკაცები დავითგარეჯთან?

– დავითგარეჯის საკითხმა უკანა პლანზე გადაიწია?

– გამოვიდა, რომ დავითგარეჯი მიაჩუმათეს. ამ ნამახვანზე კიდევ ადგნენ და ნორმალური დიალოგი გამართონ ხალხთან. ისე კი არა, ნათია თურნავა რომ იტყვის ერთ-ორ ფარაზას და მორჩება ყველაფერი. თურნავას არ ვეწინააღმდეგები არც როგორც ადამიანს და არც როგორც მინისტრს. იმას ვამბობ, რომ მისი აქტივობა არადამაჯერებელი და არასაკმარისია. წვალობს, წვალობს, მაგრამ, ამაოდ.

– საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნამახვანჰესის გამო პროტესტი არ შეწყდება და შეიძლება უფრო გამწვავდეს?

– ამან შეიძლება სახალხო მღელვარება გამოიწვიოს. ალბათ, პროტესტი გაფართოვდება. მთავარია, ამ აქციებზე არ გამოჩნდნენ მრავალჯერადი გამოყენების ნაცმოძრაობის სახეები. მათი გამოჩენა საშიშია იმიტომ, რომ ასეთი პოლიტიკოსები ყოველთვის არასახელმწიფოებრივად იქცევიან და ხალხის მღელვარებას იყენებენ.

„რიონის ხეობის დამცველების პარალელურად, უხვად გვყავს ფეისბუქ-ლომები. ამ ხალხს კლავიატურასთან აქვს დიდი გული. კომპიუტერთან არიან ნესტან-დარეჯანები და ტარიელ-ავთანდილები. ისე, ქვეყნისათვის თითს არ გაანძრევენ“

– გამოითქმის პროგნოზები სამოქალაქო დაპირისპირებაზე. ზოგს ახლანდელი მდგომარეობა 90-იან წლებსაც აგონებს.

– 90-იანი წლების ანალოგია არასწორია. მაშინ იყო სამოქალაქო ომი, კრიმინალთა თარეში. მაშინდელი ვაი-გმირები დღეს ოპოზიციურ პარტიებს აფარებენ თავს. სამოქალაქო დაპირისპირება შეიძლება გამოიწვიოს იმ პრობლემებმა, რომლებზეც ვსაუბრობთ. საქართველო პატარა ქვეყანაა. გვაქვს პრეტენზია დემოკრატიულობაზე. როცა იწყებ დიდ სტრატეგიულ პროექტებს, ხალხს დეტალური ინფორმაცია უნდა მიაწოდო და ანგარიში გაუწიო. დაახლოებით 5 წლის წინ, ევროპაში რომ გაზპრომთან რაღაც გააფორმეს, ვინმემ რამე გვითხრა? 2008 წლის ავადსახსენებელი მოვლენების შემდეგ, მალევე, ენგურჰესი რუსებს გადააბარეს. ესეც დაიფარა. ნამახვანჰესის პროექტის განხორციელება სააკაშვილმა დაიწყო, ამ ხელისუფლებამ კი ხალხს არაფერი ჰკითხა და დაწყებული საქმე გააგრძელა.

– რადიკალიზმი საქართველოს პოლიტიკასა და საზოგადოებაში ახალი არ არის, მაგრამ ბოლო დროს ხომ არ გაიზარდა რადიკალიზმი და პოლარიზაცია? „უცნობის“ აქციის შემდეგ ადამიანები ერთმანეთს უფრო დაუპირისპირდნენ. მაგალითად, ეკა ბესელია და ვატო შაქარაშვილი და სხვა.

– ერთმანეთთან ბრძოლა ქართველებს გენში გვაქვს, ჯიშად მოგვდგამს. ნიჭიერებიც ვართ, მაგრამ მანკიერებაც ხომ უნდა ვაღიაროთ. გაუტანლობა, შური, გაუთავებელი ჭამა-სმა და ქეიფი რომ მოგვდგამს, ეს არც რუსეთის ბრალია და არც თურქეთის. ჩვენი პრობლემების სხვისთვის გადაბრალებაც სისხლში გვაქვს. ერს უნდა წარმართვადეს ხელისუფლება. ხელისუფლება უნდა ატარებდეს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. მის ხელშია ინსტიტუტები და ბერკეტები.

– ჩვენ აქ მოვიკოჭლებთ?

– მთელი ევროპის დასაცინად გავიხადეთ თავი. ორჯერ იყო ჩამოსული ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, მიშელის წარმომადგენელი დანიელსონი. კაცი გააოგნეს. ასეთი არაფერი მინახავსო, თქვა. მას აოცებს, რომ პოლიტიკოსები ძირს უთხრიან საკუთარ ქვეყანას. ჯერ ერთი, რა სახელმწიფო ხარ, როცა ვერაფერს ვერ წყვეტ? ვერაფერს აგვარებ? უცხოური მედიაციით საქმის გაკეთება ევროანტანტიზმი კი არა, ქართული კრეტინიზმია. ქართულ კრეტინიზმსა და მანკიერებაზე საუბრობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკოლო მიწიშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, ჟამთააღმწერლები. რა უბედურებაა ამ თვისებების გადმოტანა 21-ე საუკუნეში? რიონის ხეობის დამცველების პარალელურად, უხვად გვყავს ფეისბუქ-ლომები. ამ ხალხს კლავიატურასთან აქვს დიდი გული. კომპიუტერთან არიან ნესტან-დარეჯანები და ტარიელ-ავთანდილები. ისე, ქვეყნისათვის თითს არ გაანძრევენ.

– რთული გეოპოლიტიკური სიტუაცია და რეგიონის ფეთქებადობა უფრო ამძაფრებს მოვლენებს?

– რთულ დროს და რთულ რეგიონში ვცხოვრობთ, მაგრამ ყველაფერი ამას დავაბრალოთ?! ერთად სხედან პოლიტიკოსები, რომლებსაც ერთმანეთი ჭირივით სძულთ. იმის გამო, რომ როგორმე პარლამენტში გაძვრნენ, ყველაფერზე თვალს ხუჭავენ.

– ზოგი სხვა ქვეყნის დავალებებსაც ასრულებს.

– რასაკვირველია. ასეთებს 2 თეთრი რომ დაანახო, ყველაფერს გადააყირავებენ. რა, გავრილოვისა და პოზნერის შემთხვევები შემთხვევითობა იყო? აშკარაა, რომ ვიღაც-ვიღაცები პატრონებზე მუშაობენ. ამ დროს სახელმწიფოს რას უშვრებიან, ამაზე არ ფიქრობენ.

– მოლაპარაკებები ახსენეთ. გავრცელებული ინფორმაციით, ამჯერად ევროკავშირიდან დელეგაცია ჩამოვა.

– ვიცი, ვინც იქნებიან ამ დელეგაციაში. ამას ვხედავ. თუ 6 მინისტრი ჩამოვიდა, აქედან 4 აუცილებლად ბალტიის სახელმწიფოების წარმომადგენელი იქნება. ბალტიის ქვეყნებს აქვთ ჩაბარებული საქართველო. ეს მოლაპარაკებები რატომღაც გაასაიდუმლოეს. ამიტომაა, რომ პოლიტიკოსები იქ, დახურულ შეხვედრაზე ერთს ლაპარაკობენ, გარეთ – მეორეს. ამომრჩეველს არ უნდა დაანახონ, რა ბინძურად იქცევიან. ესაა დემოკრატია და გამჭირვალეობა?!

– პროცესი უნდა გაიხსნას?

– მოლაპარაკებები მედიაციით ღია უნდა იყოს. ჩემი ინიციატივაა, ყველაფერი გაიმართოს „ლაივში“. ჩვენი თვალით დავინახავთ, როგორ იქცევა დიალოგისას ერთმანეთის მოძულე ოპოზიცია.

– საქართველოს დაცლა ხომ არ ემუქრება? უცხოეთში წასულებს ემატებიან ლეგალურად დასაქმებულები, რომლებსაც ამ ქვეყნებში სხვებზე ნაკლებს უხდიან.

– საქართველოში იგება გზები. ეს არის ერთი მაგალითი, დასაქმების საშუალება. ჩვენი უდებურება ისაა, რომ აქ მუშაობა გვერცხვინება და ევროპა გვირჩევნია. ზოგიერთ ქართველს ურჩევნია, ევროპაში ღამის ქოთნები ზიდოს, ვიდრე აქ იმუშაოს. ქართველების უმრავლესობის ასპარეზი ფეისბუქია, რომლის გარეშე ნახევარი საათი ვერ ძლებს ხალხი. საქართველო გადაიქცა ფეისბუქველად. ვისაც არ ეზარება, ყველა მიწას გვართმევს, საზღვრები ვერ დაგვიცვია, ჩვენ საზღვარგარეთ მივრბივართ სამუშაოდ, საქართველოში კი გზებს ჩინელები აგებენ.

ამირან გამყრელიძე: „კორონავირუსის 18-მდე კლასტერია“

ამირან გამყრელიძის განცხადებით, ქვეყანაში ამ დროისთვის 18 კლასტერია, თუმცა, ყველა მათგანი მართვადია.

ამასთან, გამყრელიძის თქმით, კლასტერების არსებობა ქვეყანაში საყოველთაო გავრცელების ნიშანია.

– კლასტერების რაოდენობა იზრდება. დაემატა ლაგოდეხის კლასტერი. დაახლოებით, 18-მდეა ეს კლასტერი, რაც დღეს არის, მაგრამ ყველა მართვადია, დიდი კლასტერები არ არის. ასევე, თანდათან კლასტერებიდან გადავდივართ ქვეყანაში საყოველთაო გავრცელებაზეც, რისი ერთ-ერთი ნიშანიც კლასტერების ჩამოყალიბებაა, – განაცხადა გამყრელიძემ.

რაც შეეხება ვირუსის შტამებს, როგორც გამყრელიძე ამბობს, 50-70% შემთხვევებში ქვეყანაში „ბრიტანული შტამი“ ცირკულირებს, რომელიც უფრო სწრაფი გავრცელებით ხასიათდება.

ამასთან, გამყრელიძემ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ სამეთვალყურეო საბჭო გამოყოფს კონკრეტულ ადამიანებს, რომლებსაც მუდმივი კომუნიკაცია ექნებათ საპატრიარქოსთან, რომ „აღდგომის წინა დღეები, რაც შეიძლება ორგანიზებულად ჩატარდეს.

გამყრელიძის განცხადებით, უკიდურესად უნდა გამკაცრდეს იმ შეზღუდვების აღსრულება, რაც დაწესებულია.

– ჩვენი რეკომენდაცია და საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილება არის, რომ ამ ეტაპზე, უკიდურესად უნდა გამკაცრდეს იმ შეზღუდვების აღსრულება, რაც დაწესებულია. ეს არის ორი მთავარი შეზღუდვა – ე.წ. კარანტინი და დიდი თავშეყრების პრევენცია. ამაზე მაქსიმალური ღონისძიებები უნდა იყოს გატარებული, ასევე მნიშვნელოვანია პირბადის მაქსიმალური ტარება. თუ ჩვენ ინფიცირებულების რაღაც ზღვრამდე ავალთ, შემდეგ უკვე საკოორდინაციო საბჭო იმსჯელებს. დღეს პირბადის ტარების მაჩვენებელი არის 50%-ზე. სამწუხაროდ, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში რეინფიცირების მაჩვენებელი იზრდება. თუ ჩვენ გადავიტანდით ინფექციას და გარანტირებული ვიყავით, რომ ინფექცია მეორედ არ შეგვხვდებოდა, სამწუხაროდ, ახლა არ არის ასე. იმის გამო, რომ არის მუტაციები და ბევრი სხვადასხვა შტამი ცირკულირებს, რეინფიცირების მაჩვენებელი იზრდება, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

* * *

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თამარ გაბუნიას განცხადებით, ამ დროისთვის კოვიდკლინიკებში 2333 თავისუფალი ადგილი არის.

როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა, საჭიროების შემთხვევაში კლინიკებში საწოლების დამატების შესაძლებლობა არსებობს.

– დღეის მდგომარეობით კოვიდკლინიკებში 2.333 თავისუფალი საწოლი არის. რა თქმა უნდა, ეს მიმდინარე პროცესია და იმის მიუხედავად, თუ რა საჭიროება იქნება, კლინიკებში, საწოლების დამატების შესაძლებლობა არსებობს, რადგან ამ კლინიკების ნაწილი ფუნქციონირებს ე.წ. ჰიბრიდულ რეჟიმში. ჩვენ დაგეგმილი გვქონდა გარკვეული დემობილიზაცია 21 აპრილიდან, თუმცა ეს პროცესი შეჩერდა და კლინიკებს ვთხოვეთ გააგრძელონ ფუნქციონირება კოვიდის მართვის რეჟიმში.

შარშან ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში შემთხვევების უპრეცედენტო რაოდენობა გვქონდა. დღეში 5.000-ზე მეტი შემთხვევები იყო ინფიცირების. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ ამ დონემდე არ მივიდეთ. აქ არ არის მთავარი ის, თუ რამდენი საწოლი გვექნება და ადამიანური რესურსი ამ კლინიკებში იქნება თუ არა. ვიცით, რომ სამედიცინო დახმარების მიუხედავად, გამოსავალი რიგ შემთხვევაში მაინც არაკეთილსაიმედოა და ფრთხილად უნდა ვიყოთ.

ჩვენთვის დღეს მთავარი ბერკეტი პრევენციული ღონისძიებები არის. ასევე, მიმდინარეობს ტესტირების გაფართოებული პროგრამა. ამასთან, მნიშვნელოვანია ბიზნესგარემოში წესების დაცვა და პირადი დაცვის საშუალებების აქტიური გამოყენება, – განაცხადა გაბუნიამ.

პაატა იმნაძის განცხადებით, „ერთ-ერთ რაიონში ქელეხის სუფრის შემდეგ კიდევ ერთი „კლასტერი“ გაჩნდა“.

– დაახლოებით ისეთი მდგომარეობა გვაქვს, როგორიც იყო ოქტომბრის შუაში. ერთადერთი განსხვავება არის ის, რომ მაშინ ყოველ ორ კვირაში ორმაგდებოდა და სამმაგდებოდა შემთხვევები. ახლა არის მატება, მაგრამ საბედნიეროდ, არ არის გაორმაგება. ეს იმის დამსახურებაა, რომ შემოდგომისგან განსხვავებით, დღეს მოქმედებს საღამოს შეზღუდვა და ასევე ის, რომ შაბათ-კვირას რესტორნები არ არის. დანარჩენი თითქმის იგივეა, რაც იყო. ამიტომ თუ გვინდა, რომ იგივე არ განმეორდეს, რაც იყო, საჭიროა დღეს არსებული რეგულაციები მაქსიმალურად დავიცვათ, – განაცხადა იმნაძემ.

რესტორატორთა ასოციაცია: „მეტი ვალის აღების შესაძლებლობაც კი არ გვაქვს“

– წარმოდგენაც კი უბრალოდ შეუძლებელია, რომ ქვეყანა კიდევ ერთხელ ჩაიკეტოს. ამას ვერ გადაიტანს ეკონომიკა. მეტი ვალის აღების შესაძლებლობაც კი არ გვაქვს, -ამის შესახებ რადიო ,,პალიტრასა“ და ,,პალიტრანიუსის“ გადაცემაში ,,საქმე“ რესტორატორთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა მოსალოდნელი მესამე ტალღის შეფასებისას განაცხადა.

შოთა ბურჯანაძის თქმით, ახლა ერთადერთი გამოსავალი ვაქცინაციაა და ის, რომ ეს ვერ ხორციელდება, სრულად ეპიდემიოლოგიური გუნდის პასუხისმგებლობაა.

– ადრეც ვთქვი, რომ ქართული მოვლენაა დემაგოგია, სოფიზმი და უპასუხისმგებლობა. ბევრი ადამიანი ამბობს, რომ იღებს პასუხისმგებლობას, მაგრამ რაში გამოიხატება ეს? ქვეყანაში ყველა გადაწყვეტილება ქაოტურად, ლოგიკის გარეშე მიიღება. მექანიზმი ხომ არსებობს, რომელიც იქნება რეალური. ძალიან მარტივი მაგალითი – მელიქიშვილის გამზირზე არის ერთი კლუბი, რომელიც რამდენჯერმე დაჯარიმდა ერთ ლოკაციაზე, მაგრამ დამჯარიმებელს ყოველ მისვლაზე სხვადასხვა შპს ხვდებოდა. აქედან გამომდინარე ჩანს, რომ დაკეტვებით და გახსნებით არ არის გამოსავალი.

წარმოდგენაც კი უბრალოდ შეუძლებელია, რომ ქვეყანა კიდევ ერთხელ ჩაიკეტოს. ამას ვერ გადაიტანს ეკონომიკა. მეტი ვალის აღების შესაძლებლობაც კი არ გვაქვს. გამყრელიძეს და მის ამფსონებს ჰგონიათ, რომ ჩაკეტვაა გამოსავალი. რესურსი რომ არსებობდეს, უკვე დაგვკეტავდნენ. დღეს, სამწუხაროდ, ამ ვირუსს მართავენ საბჭოთა ცნობიერების ადამიანები. კითხვა მაქვს, რატომ არ ცხადდება დღეს საყოველთაო ვაქცინაცია? იმიტომ, რომ არ გვაქვს ვაქცინები. როცა ეს ვერ უზრუნველყვეს, ხომ შეიძლება დაიხურონ ქუდი და წავიდნენ სახლში. ფაქტია, ვერ მართავენ სიტუაციას, დააქციეს ეკონომიკა და ხელიდან გაექცათ ეპიდ-გავრცელება. ახლა ერთადერთი გამოსავალი ვაქცინაციაა, თუმცა ეს ვერ ხდება, – განაცხადა ბურჯანაძემ ,,საქმეში“.

ნიკა მელიამ მოსამართლე ნინო ჩახნაშვილს მადლობა გადაუხადა

„მადლობა, რომ არსებობთ, რადგან ბრძოლის ჟინს მიათკეცებთ“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია კვლავ პატიმრობაში რჩება. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა გუშინ, 13 აპრილს, გამოაცხადა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე მელიას მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გადაისინჯა და ის ძალაში დარჩა.

სხდომას ესწრებოდა თავად ბრალდებული მელია, რომელმაც პროცესზე სიტყვით რამდენჯერმე ისარგებლა.

პროკურატურა დაკავებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა და აღნიშნავდა, რომ ერთადერთი ღონისძიება, რომელმაც შეიძლება აღკვეთის ღონისძიების მიზნები უზრუნველყოს, არის პატიმრობა და ის ძალაში უნდა დარჩეს. პროკურორის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუკი, დაცვის მხარე თანახმა იქნება, გირაოს შესახებ შეთავაზება შესრულდეს, პროკურატურა შუამდგომლობას დააყენებს.

დაცვის მხარე კი მელიას აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა.

– გახარია ჩემი დაპატიმრების წინააღმდეგი რომ ყოფილიყო, მისი უახლოესი მეგობარი დეპუტატები იმუნიტეტს არ მომიხსნიდნენ, – ამის შესახებ ნიკა მელიამ სასამართლო პროცესზე განაცხადა.

მან ადვოკატების შუამდგომლობაზე პოზიციის დაფიქსირებამდე მის მხარდამჭერებს და დარბაზში მყოფ მეგობრებს მადლობა გადაუხადა. ამასთან, მოსამართლე ნინო ჩახნაშვილსაც მიმართა.

– თქვენც მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ არსებობთ, ენერგიას მაძლევთ, ბრძოლის ჟინს მიათკეცებთ, ენთუზიაზმს მაძლევთ, მოტივაცია მეძლევა, როცა ვიცი, რომ თქვენ არსებობთ და არსებობენ ბატონი გულუაშვილის მსგავსი პროკურორები.

ადვოკატების ეს შუამდგომლობა უსიტყვოდ უნდა დაკმაყოფილდეს, საუბარია შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელზე, რომელმაც თქვა, რომ შს მინისტრის მოადგილე ავალებდა, აყალბებინებდა იმ საქმის ფარგლებში მასალებს, რომელზეც მე აქ მომათავსეს.

სანამ თქვენ აქ იმსჯელებდით ჩემ დაკავებაზე, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილება გამოტანილი ჰქონდა, რომ მე სატუსაღოში უნდა წავსულიყავი. კობახიძე რომ მოწმის სახით არ დაიბაროთ და არ დაკითხოთ, ეს ხომ თქვენ რეპუტაციას შელახავს? ამ საქმეზე ხომ ჭეშმარიტება დადგინდება?

ამ ადამიანმა აღიარა, მე და გახარია შეთანხმებული ვიყავით, რომ მელია უნდა დაგვეჭირა და ბოლოს გადათქვაო, თქვენ კიდევ განჩინება არ გქონდათ გამოტანილი.

ჩემ დაკავებაზე გახარიასაც ჰქონდა მიცემული თანხმობა და კობახიძესაც. ახლა რომ გახარია ცდილობს თავი ისე მოაჩვენოს, თითქოს წინააღმდეგი იყო ჩემი დაპატიმრების, ის ჩემი დაკავების წინააღმდეგი რომ ყოფილიყო, მისი უახლოესი მეგობარი დეპუტატები იმუნიტეტს არ მომიხსნიდნენ, – განაცხადა მელიამ.

სასამართლოს შემდეგ კომენტარი გააკეთა ნიკა მელიას ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

– თუკი აქამდე ნიკა მელია იყო პოლიტიკური პატიმარი, დღევანდელი პროცესის შემდეგ ის არის პოლიტიკური ტყვე, რომელსაც ვაჭრობის საგნად იყენებს ხელისუფლება ოპოზიციასთან მოლაპარაკებების პროცესში, – თქვა მან.

როგორც საძაგლიშვილმა აღნიშნა, მოსალოდნელი იყო, რომ ხელისუფლება არ მიიღებდა გონივრულ გადაწყვეტილებას ნიკა მელიასთან დაკავშირებით და ეს უბრალოდ გაფორმდა.

– პროკურატურა, რომელსაც ურთიერთწინააღმდეგობრივი და გაუგებარი პოზიცია ჰქონდა, ერთი მხრივ, ამტკიცებდა, რომ გირაოს გადახდის შემთხვევაში არ არის წინააღმდეგი, რომ ნიკა მელია თავისუფლებაზე იყოს, მეორე მხრივ კი, ამბობდა, რომ მხარს უჭერდა პატიმრობაში დატოვებას, ასეთი წინააღმდეგობრივი პოზიციის არსებობისას, ბუნებრივია, რომ სასამართლოს ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი.

პატიმრობა გამოიყენება მაშინ, როცა ის არის უალტერნატივო საშუალება, რადგან პროკურატურის პოზიცია არ იყო ასეთი, რომ პატიმრობა უალტერნატივო საშუალებაა, სასამართლო შებოჭილი იყო პროკურატურის ამ პოზიციით. შესაბამისად, უნდა გაეთავისუფლებინა ნიკა მელია. თუმცა, ცხადია, ჩვენ არ გვაქვს ილუზია, რომ ვართ სასამართლოში, ან მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას. ამ საქმეზე გადაწყვეტილებას იღებს პოლიტიკური ხელისუფლება და ამის აღიარებაც მოსმენილი გვაქვს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მხრიდან.

ჩახნაშვილმა მელია პატიმრობაში დატოვა

შემდგომი სხდომა 29 აპრილს არის დანიშნული, რაც შეეხება იმას, თუ რას გავაკეთებთ, ჩვენ შევათანხმებთ პოზიციებს ნიკა მელიასთან და მივიღებთ გადაწყვეტილებებს, რას და როგორ გავაკეთებთ, – განაცხადა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

პროკურატურამ დავით კოდუას ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ მეუღლისა და შვილის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე დავით კოდუას ბრალდება წარუდგინა.

ამის შესახებ ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 11 აპრილს, ქ.თბილისში, დ.კ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მეუღლის – ნ.გ.-ს და შვილის ე.კ.-ს მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა.

სამართალდამცველებმა დ.კ. 2021 წლის 12 აპრილს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ, ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

საქართველოს პროკურატურა ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ახორციელებს, რასაც მომავალშიც გააგრძელებს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

– აბსოლუტურად უსაფუძვლოა ის ბრალი, რომელიც არის წარდგენილი, – განაცხადა დავით კოდუას ადვოკატმა მუხრან ღურწკაიამ.

მისი თქმით, არ არსებობს არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობის საკითხს დაადასტურებს.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს წარედგინა ბრალდება გამომძიებლის მიერ, სრულად გადმოგვეცა საქმის მასალები და დეტალურად გავეცანით მოკლე პერიოდში საქმის მასალებს.

საქმის მასალებში არ არის არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობის საკითხს. შესაბამისად, ჩვენ სასამართლოზე მისი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების საკითხს დავაყენებთ.

დაზარალებულების პოზიცია საჯარო გამოსვლებიდან გამომდინარეც ცნობილია, რომ არანაირ ძალადობას ადგილი არ ჰქონია, ეს იყო სიტყვიერი შელაპარაკება და აბსოლუტურად უსაფუძვლოა ეს ბრალი, რომელიც წარდგენილია.

დაცვის მხარემ, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთან შეთანხმებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ის უნდა დარჩეს აღკვეთის ღონისძიების გარეშე და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

გირაოს საკითხსაც არ განვიხილავთ, რა თქმა უნდა, – აღნიშნა მუხრან ღურწკაიამ.

საპატრულო პოლიციას INL-ის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისთვის საჭირო აღჭურვილობა გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიურომ (INL) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისთვის საჭირო აღჭურვილობა გადასცა.

თანამედროვე აღჭურვილობა ხელს შეუწყობს ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციას და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაზრდას.

აღჭურვილობის გადაცემის ცერემონიას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი – ვაჟა სირაძე, აშშ-ის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს დირექტორი – რებეკა ჰანტი და სხვა წარმომადგენლები.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო

ბიურო (INL) მრავალი წელია თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ახორციელებს პროექტებს ოჯახში ძალადობისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის, ტრეფიკინგის და სხვა მიმართულებებით.

ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ ბიძაშვილის კომპანიას 187.000 ლარი მისცა

„ფლანგვის დეტექტორის“ ინფორმაციით, ოზურგეთის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ, მისი ბიძაშვილის კომპანიას, ტენდერის გვერდის ავლით, პირდაპირი შესყიდვის წესით 187 ათასი ლარი გადაურიცხა.

თანხა კომპანია „მშენებელმა“, რომლის მფლობელიც დავით გოგუაძეა, 2019-2020 წლებში სხვადასხვა ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მიიღო.

კომპანია „მშენებელს“ 2013-2020 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 658 ათასი ლარი აქვს გადარიცხული.

ორგანიზაციის მკვლევარები არ გამორიცხავენ, რომ ოზურგეთის მერი შესაძლოა ამ საეჭვო ტენდერებით სარგებელს თავადაც იღებდეს, რადგან ბოლო 2 წლის განმავლობაში კონსტანტინე შარაშენიძემ 143 ათასი ლარის უძრავი ქონება იყიდა, მაშინ როცა, მერის ოფიციალური შემოსავალი ამ წლებში მხოლოდ 56.500 ლარი იყო.

„2020 წლის საქმიანობის ანგარიშის წარდგენისას მან სულაც არ უარყო ეს ფაქტი და

თქვა, რომ ამაში პრობლემას ვერ ხედავდა. მან საკრებულოს ოპოზიციონერ დეპუტატს ამ საკითხზე კითხვის დასმისას უთხრა: „გოგუაძეს უნდა გაეკეთებინა ეგ სამუშაოები შე შტერო, აბა, სხვა ხო არ გააკეთებდა. დათოიე გოგუაძე ყველას უყვარს, აქანე ვინც არის“ – წერს ორგანიზაცია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 62.600 ადამიანი ცხოვრობს, საიდანაც ყოველი მე-6 სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება.

სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით, 2013-2017 წლების პერიოდში, ცრუ მოწმეების გამოყენებით, თითქოსდა მიწის ნაკვეთების მიღება განხორციელდა სახელმწიფოსაგან მიწის რეფორმის ფარგლებში, უკანონოდ დაირეგისტრირა მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული 6 ერთეული მიწის ნაკვეთი, საერთო ფართით 18.048 კვ.მ, რომლის ღირებულებაც, ექსპერტიზის თანახმად, შეადგენს 126.356 ლარს. გამოძიების პროცესში დაყადაღებულ იქნა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები.

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ გრძელდება შესაბამისი ღონისძიებები, აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი სხვა პირების დადგენამხილების მიზნით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 993 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 993 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 92 ფიზიკური და 2 იურიდიული პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 793 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 106 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

ზელენსკი: „უკრაინა აგრესორის დასახვედრად მზადაა“

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ სიენნს ინტერვიუ მისცა. მან განაცხადა, რომ არსებობს რუსული არმიის უკრაინის ტერიტორიაზე შეჭრის საფრთხე. ასე იყო 2014 წელს, ასეა ახლაც.

– განსხვავება ისაა, რომ დღევანდელი უკრაინული არმია ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ეს 2014 წელს იყო. უკრაინაც აგრესორის დასახვედრად მზადაა, – განაცხადა ზელენსკიმ.

მან თქვა, რომ აშშ მისი ქვეყნის მეგობარია. ბაიდენმა უკრაინას უპრეცედენტო დიპლომატიური მხარდაჭერა აღმოუჩინა, მაგრამ მხოლოდ ეს არაა საკმარისი.

– აუცილებელია მოქმედებაც! – აღნიშნა ზელენსკიმ.

უკრაინის ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ უკრაინას ნატოში გაწევრიანებაში უნდა დაეხმაროს და ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადადგას.

ამ დროისთვის რუსეთ-უკრაინის საზღვარზე 80.000-მა ჯარისკაცმა მოიყარა თავი. ყირიმში ფსკოვის მედესანტეთა დივიზია შეიყვანეს. ნახევარკუნძულზე დისლოცირებული რუსი ჯარისკაცების რაოდენობამაც 6. 000-ს მიაღწია.

დიდი შვიდეულის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა განცხადება გააკეთეს და რუსებს პროვოკაციების შეწყვეტა მოსთხოვეს.

ავსტრიის ჯანდაცვის მინისტრი თანამდებობას ტოვებს

ავსტრიის ჯანდაცვის მინისტრმა რუდოლფ ანშობერმა განაცხადა, რომ ის თანამდებობას ტოვებს, ვინაიდან კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლით გადაღლილია.

– ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე მძიმე კრიზისის დროს, რესპუბლიკას სჭირდება ჯანდაცვის მინისტრი, რომელიც 100%-ით შესაფერისია. ამჟამად ეს მე არ ვარ. 15 თვის წინ დავიწყე მშვენიერი და მიმზიდველი სამსახური. ახლა კი ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს 15 თვე კი არა, 15 წელი გავიდა, – განაცხადა რუდოლფ ანშობერმა.

მისი თქმით, სისხლის მაღალი წნევისგან გამოწვეული პრობლემების გამო ბოლო დროს ორჯერ დასჭირდა შვებულების აღება.

აშშ გერმანიაში დამატებით 500 სამხედროს გაგზავნის

აშშ გერმანიაში დამატებით 500 სამხედროს განათავსებს.

ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, ლოიდ ოსტინმა ბერლინში ვიზიტის დროს განაცხადა.

– ჩვენ შევაჩერეთ ჯარის რაოდენობის შემცირების გეგმა. ვფიქრობ, დამატებით 500 სამხედროს განთავსების შესახებ გადაწყვეტილება მეტყველებს ჩვენი პარტნიორობის დონესა და ნატოს მიმართ ჩვენს ვალდებულებაზე, – განაცხადა ოსტინმა გერმანელ კოლეგა ანეგრეტ კრამპ-კარენბაუერთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

გერმანიიდან დაახლოებით 12.000 სამხედროს გაყვანას აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გეგმავდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პრინც ფილიპის უკანასკნელი სურვილი მშვიდად სიკვდილი იყო



ედინბურგის ჰერცოგ პრინც ფილიპს მშვიდად სიკვდილი სურდა საკუთარ საწოლში. დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ს მეუღლის უკანასკნელი სურვილი ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემას სამეფო ოჯახთან დაახლოებულმა პირმა გაუმხილა.

მისი თქმით, ჰერცოგს ძალიან უნდოდა უინძორის ციხე-სიმაგრეში მშვიდად გარდაცვალება.

– ფილიპს არ სურდა ხმაური და ფაციფუცი. მას ყველაფრის ბოლომდე თავისებურად გაკეთება სურდა, – განუმარტა გამოცემას თანამოსაუბრემ.

გარდა ამისა, პრინც ფილიპმა გამოთქვა სურვილი, რომ არ გამართულიყო მისი სახელმწიფო დაკრძალვა, იმის მიუხედავად, რომ ამის სრული უფლება ჰქონდა, ვინაიდან ის დედოფლის მეუღლე იყო. ამის ნაცვლად გაიმართება კერძო სამსახურის მიერ ორგანიზებული სამხედრო გასვენება, რომელიც უინძორში წმინდა გიორგის სამრეკლოში შედგება.

პრინცი ფილიპი 9 აპრილს უინძორის ციხე-სიმაგრეში 99 წლის ასაკში გარდაიცვალა. ორ თვეში, 10 ივნისს ის 100 წლის უნდა გამხდარიყო. გარდაცვალების მიზეზი არ სახელდება, ქვეყანაში 20-დღიანი საერთო ეროვნული გლოვაა გამოცხადებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ნიკა ჩერქეზიშვილი: „დროულად თუ არ გამოვფხიზლდით, ხვალ სხვა საქართველოში გავიღვიძებთ“

პოეტი ნიკა ჩერქეზიშვილი 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული მწერლის გურამ რჩეულიშვილის სიტყვებს საზოგადოებას ახსენებს და გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს:

– გურამ რჩეულიშვილის სიტყვები ხომ გახსოვთ? „უკვე ტრაგედიად იქცა ჩემთვის ჩემივე უმიზნობა: არაფერი არ არის მთავარი, რასაც ვაკეთებ.“

ისეთი გრძნობა მაქვს, რომ დღეს მთელი ერი ამ ტრაგედიაში ვართ გახვეული.

ჩვენ დაგვავიწყდა საკუთარი თავი, დაგვავიწყდა ვინ ვართ სინამდვილეში.

უსაგნოა ჩვენი ყველა მოქმედება, სიცოცხლის უმთავრეს აზრსა და შინაარსს მოკლებული.

იმას, რაც ხმლითა და გარდაუვალი სიკვდილითაც ვერ დაგვათმობინეს საუკუნეების განმავლობაში, დღეს ნებით ვთმობთ, ფულზე ვყიდით.

ვიღაცებმა თავს უფლება მისცეს, მიიტაცეს სახელმწიფო და ხალხისგან დაუკითხავად გაასხვისეს ჰექტრობით მიწა.

წეღან ასეთ კომენტარსაც გადავაწყდი, „ქართველი კაცის“ დანერილს, დიდი ამბავი მამა-პაპის საფლავები, ფობიები გვაქვსო.

ჯერ წინაპრების საფლავები რატომ არის ასე ასაგდები და შემდეგ, იქ, ზოგს ერთადერთი შვილი ჰყავს დამარხული!

მაშ, რიღასთვის ცხოვრობს ადამიანი?

თუ სალოცავები დატბორა, საფლავები, სახლ-კარი?

ბუნებრივია, დიდი პროექტების წინააღმდეგი არ ვარ, მათ შორის არც ჰესების, რა თქმა უნდა.

წინააღმდეგი ვარ ადამიანებთან შეუთანხმებლობის, მათი ნების საწინააღმდეგო მოქმედებების, მათი აზრის გაუთვალისწინებლობის და ეს უკვე არაერთხელ ვთქვი.

წინააღმდეგი ვარ ძალმომრეობის!

დროულად თუ არ გავიღვიძეთ და გამოვფხიზლდით, ხვალ სხვა საქართველოში გავიღვიძებთ, სადაც აღმოვაჩენთ, რომ ჩვენც სხვებად ვიქეცით.

ნინუცა მაყაშვილი ბესო ზანგურს ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მეცოდებოდა ეს გადასარევი გოგო, ნინუცა მაყაშვილი. როგორი შვება იყო, როცა ბოლოს მოახერხა იმ პათოლოგისგან თავის დაღწევა და როგორი მაგარი გოგოა, რომ ახლა ასე ღიად ლაპარაკობს ამ თემაზე.

ძალიან ძნელია ხმის ამოღება, მით უმეტეს, ნინუცასთვის იყო ძნელი, როცა პატარა და გამოუცდელი გოგო, დამწყები მსახიობი უნდა დაპირისპირებოდა სრულებით გაუგებარი დამსახურებების გამო ქვეყნის მთავარი თეატრის პრემიერად წამოჭიმულ სირბანჯოს, დიდი მაესტროს ფრთებქვეშ შეყუჟულ და მისგან ყველაფრის უფლებამინიჭებულ ქლიავს.

ჰოდა, ძალიანაც კარგი, ამდენი წლის შემდეგ მაინც რომ მოიკრიბა ძალა და ამაზე ილაპარაკა.

ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე:

– 2001 წელს, „ხელოვანთა ლიგაში“ ზურაბ ცინცქილაძესთან ერთად მოვაწყვეთ ხელოვანთა დისკუსია თემაზე: „რა ჩემი საქმეა, რა შენი საქმეა, აბა, ვისი საქმეა?!“ კარგად მახსოვს, ერთმა პატივსაცემმა არტისტმა ამ შეხვედრაზე, თავის გამოსვლაში თქვა: „რაც შეეხება ოჯახში ძალადობას, ეს არავის საქმე არ არის!“

მაშინ, ჟან ჟაკ რუსოს სიტყვები დავუპირისპირე: „ხედავდე უსამართლობას და არ ჩაერიო, ეს ნიშნავს, რომ მონაწილე ხარ მისი.“ ჰოდა, სანამ მენტალობას არ შევიცვლით, არაფერი გვეშველება.

ყოველთვის ვგმობდი ძალადობას, მათ შორის, საკუთარ ოჯახში, მამაჩემი რომ ხმას აუწევდა დედაჩემს, ვეხვეწებოდი ორივეს, ახლავე გაშორდით-თქო...

არ შევეგუოთ ძალადობის არც ერთ ფაქტს, მაგრამ მარტო გმობა არ გვიშველის, მოძალადე უნდა დაისაჯოს!

ჩემი მხარდაჭერა მსახიობ ნინუცა მაყაშვილს და ყველა ქალს.

რუსთაველის თეატრი ნინუცა მაყაშვილის განცხადებას მხოლოდ ერთი წინადადებით გამოეხმაურა:

– რუსთაველის ეროვნული თეატრი გმობს ყოველგვარ ძალადობას, მათ შორის, ოჯახურ ძალადობას!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

კორონავირუსი ფეხბურთს აფერხებს

კოლუმბიის უმაღლეს ლიგაში, რიონეგრო აგილასი იძულებული გახდა მოედანზე შვიდი ფეხბურთელით გასულიყო, რათა დიდძალი სანქციები თავიდან აერიდებინა.

ბოიაკა ჩიკოსთან მატჩის წინ აგილასს შვიდი ტრავმირებული და 16 კოვიდინფიცირებული ფეხბურთელი ჰყავდა. გუნდი საერთოდ არ აპირებდა მოედანზე გასვლას, მაგრამ სანქციების შეეშინდა და სათამაშოდ გავიდა.

როგორც გითხარით, მოედანზე სულ შვიდი ფეხბურთელი იყო – აქედან 2 მეკარე, რომელთაგან ერთი კარის ნაცვლად დაცვაში იდგა.

აგილასი 57-ე წუთამდე მედგრად იცავდა თავს და ანგარიში 0:0 იყო. შემდეგ მეტოქემ სამი გოლი გაიტანა, ხოლო 79-ე წუთზე აგილასის კიდევ ერთმა ფეხბურთელმა, ჯოვანი მარტინესმა ტრავმა მიიღო და მატჩიც შეწყდა, რადგან საფეხბურთო წესებით გუნდს მოედანზე შვიდზე ნაკლები ფეხბურთელით ყოფნის უფლება არ აქვს.

იგივე ეკვადორის ჩემპიონატშიც მოხდა და აუკასმა ბარსელონასთან შეხვედრაში მოედანზე შვიდ ფეხბურთელზე მეტის გაყვანა ვერ შეძლო.

აგილასის მსგავსად, აუკასიც კორონავირუსს ებრძვის. ეკვადორულ კლუბში კოვიდ 19 ოცამდე ადამიანს დაუდგინდა, რომელთა უმრავლესობაც ფეხბურთელები არიან.

აუკასის წარმომადგენლების ცნობით, მათ კლუბში შექმნილი ვითარების შესახებ ეკვადორის ჩემპიონატის მმართველებსა და მეტოქეს აუწყეს, რის შემდეგ მატჩის გადადება მოითხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს.

კოლუმბიური მატჩისგან განსხვავებით, აუკასისა და ბარსელონას თამაში სულ 18 წუთი მიმდინარეობდა. შემდეგ აუკესელთა მეკარემ ტრავმა მიიღო და მატჩი აქაც ავტომატურად შეწყდა. ამ დროისთვის ბარსელონა უკვე 2:0 იგებდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

12 აპრილი
ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი 3:0
ბრაიტონი-ევერტონი 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	32	23	5	4	67-23	74
2. მანჩესტერი	31	18	9	4	61-34	63
3.ლესტერი	31	17	5	9	55-37	56
4.ვესტ ჰემი	31	16	7	8	51-39	55
5.ჩელსი	31	15	9	7	50-31	54
6.ლივერპული	31	15	7	9	53-37	52
7.ტოტენჰემი	31	14	7	10	52-35	49
8.ევერტონი	30	14	6	10	41-38	48
9.არსენალი	31	13	6	12	43-35	45
10.ლიდსი	31	14	3	14	49-49	45
11.ასტონ ვილა	30	13	5	12	43-33	44
12.ვულვზი	31	10	8	13	31-41	38
13.კრ.პალასი	31	10	8	13	33-52	38
14.საუთჰემპტონი	31	10	6	15	39-56	36
15.ბრაიტონი	31	7	12	12	33-38	33
16.ბარნლი	31	8	9	14	25-42	33
17.ნიუკასლი	31	8	8	15	32-51	32
18.ფულემი	32	5	11	16	24-42	26
19.ვესტ ბრომვიჩი	31	5	9	17	28-59	24
20.შეფილდი	31	4	2	25	17-55	14

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	28	20	5	3	80-36	65
2.ლაიფციგი	28	18	6	4	52-23	60
3.ვოლფსბურგი	28	15	9	4	49-26	54
4.აინტრახტი	28	14	11	3	59-40	53
5.დორტმუნდი	28	14	4	10	58-41	46
6.ლევერკუზენი	28	12	8	8	45-32	44
7.უნიონი	28	9	13	6	42-34	40
8.გლადბახი	28	10	10	8	48-43	40
9.შტუტგარტი	28	10	9	9	50-44	39
10.ფრაიბურგი	28	10	7	11	40-42	37
11.აუგსბურგი	28	9	5	14	29-42	32
12.ჰოფენჰაიმი	28	8	7	13	41-47	31
13.ვერდერი	28	7	9	12	32-43	30
14.მაინცი	28	7	7	14	30-48	28
15.ჰერტა	28	6	8	14	34-48	26
16.არმინია	28	7	5	16	22-46	26
17.კიოლნი	28	5	8	15	27-50	23
18.შალკე	28	2	7	19	18-71	13

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სელტა-სევილია 3:4

სატურნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	30	20	7	3	52-20	67
2.რეალი	30	20	6	4	53-24	66
3.ბარსელონა	30	20	5	5	69-26	65
4.სევილია	30	19	4	7	44-24	61
5.სოსიედადი	30	12	11	7	47-31	47
6.ბეტისი	30	14	5	11	40-43	47
7.ვილიარეალი	30	11	13	6	43-33	46
8.გრანადა	30	11	6	13	36-50	39
9.ლევანტე	30	9	11	10	37-39	38
10.ბილბაო	30	9	10	11	39-33	37
11.სელტა	30	9	10	11	41-48	37
12.კადისი	30	9	8	13	27-45	35
13.ვალენსია	30	8	10	12	37-42	34
14.ოსასუნა	30	8	10	12	25-36	34
15.ხეტაფე	30	7	9	14	22-34	30
16.უესკა	30	5	12	13	31-45	27
17.ვალიადოლიდი	30	5	12	13	27-41	27
18.ელჩე	30	5	11	14	27-46	26
19.ალავესი	30	5	9	16	24-47	24
20.ეიბარი	30	4	11	15	22-36	23

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-კასტელონი 2:1

იტალია. სერია ა

ბენევენტო-სასუოლო 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	30	23	5	2	69-27	74
2.მილანი	30	19	6	5	57-35	63
3.იუვენტუსი	30	18	8	4	61-27	62
4.ატალანტა	30	18	7	5	71-38	61
5.ნაპოლი	30	19	2	9	65-34	59
6.ლაციო	29	17	4	8	46-38	55
7.რომა	30	16	6	8	54-44	54
8.სასუოლო	30	11	10	9	49-48	43
9.ვერონა	30	11	8	11	38-35	41
10.სამპდორია	30	10	6	14	39-45	36
11.ბოლონია	30	9	7	14	39-46	34
12.უდინეზე	30	8	9	13	32-40	33
13.ჯენოა	30	7	11	12	32-44	32
14.სპეცია	30	8	8	14	40-55	32
15.ფიორენტინა	30	7	9	14	38-49	30
16.ბენევენტო	30	7	9	14	30-55	30
17.ტორინო	29	5	12	12	42-52	27
18.კალიარი	30	5	7	18	31-51	22
19.პარმა	30	3	11	16	29-59	20
20.კროტონე	30	4	3	23	37-77	15

იტალია. სერია ბ

კიევო-პიზა 2:0

საფრანგეთი. ლიგა 2

გენგამი-ტულუზა 1:1

ჩესეთი. პრემიერლიგა

ცსკა-როტორი 2:0

ბელგია. ა დივიზიონი

მუსკრონი-ანტვერპენი 2:3

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-მალათია 0:0
ალანია-დენიზლი 3:2
ფენერბახჩე-გაზიანთები 3:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-ლამია 1:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიატი-გურნიკი 2:0

დანია. სუპერლიგა

ლუნგბიუ-ოლბორგი 2:2

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-დეგერფორსი 2:0
კალმარი-ესტერსტუნდი 0:0

ძიუდოისტთა ნაკრებში იძულებითი ცვლილებაა



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელი ლაშა გუჯეჯიანი იძულებული გახდა ევროპის 2021 წლის ჩემპიონატზე საასპარეზოდ გამზადებულ გუნდში ცვლილება განეხორციელებინა.

მოახლოებულ ევროპირველობას მონაწილეობას ვეღარ მიიღებს გელა ზაალიშვილი, რომელსაც ლევან მატიაშვილი შეცვლის. გავრცელებული ცნობით, ზაალიშვილს კორონავირუსი დაუდასტურდა.

მატიაშვილისთვის ევროპის ჩემპიონატი უცხო არ არის და შარშან ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გურამ თუშიშვილის მსგავსად, მძიმე წონაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

2021 წლის ევროპის ჩემპიონატს კი, 16-18 აპრილს პორტუგალიის დედაქალაქი ლისაბონი უმასპინძლებს. წინასწარი განაცხადით 45 ქვეყნის 370 ძიუდოისტი (218 კაცი+152 ქალი) მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

კაცები: თემურ ნოზაძე (60), ვაჟა მარგველაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი (73), ლაშა ბექაური, ბექა ღვინიაშვილი (ორივე 90), ილია სულამანიძე, ვარლამ ლიპარტელიანი (ორივე 100), გურამ თუშიშვილი, ლევან მატიაშვილი (ორივე მძიმე).

ქალები: მარიამ ჯანაშვილი, ტატიანა ლევიცკა-შუკვანი (ორივე – 52 კგ.), ეთერ ლიპარტელიანი (57 კგ.), მარიამ ჭანტურია (70 კგ.), სოფიო სომხიშვილი (მძიმე).

კვარაცხელიას ფასმა 5 მილიონით მოიმატა

2020 წლის ოქტომბერში საფეხბურთო ვებგვერდმა ტრანსფერმარკეტმა ხვიჩა კვარაცხელია 10 მილიონ ევროდ შეაფასა. სადღეისოდ კი, მისმა ფასმა 5 მილიონით მოიმატა.

უკეთ რომ ავხსნათ: ტრანსფერმარკეტი არის ვებგვერდი, რომელიც ყველა ფეხბურთელის ფასს ადგენს. თუმცა, ეს ფასი მიახლოებითია, რადგან გუნდები თავიანთ ფეხბურთელებში უფრო მეტს ითხოვენ. ასე იყო კვარაცხელიას შემთხვევაშიც – როდესაც ჩვენებური 10 მილიონად ფასობდა, რუბინი მის გაყიდვას უფრო მაღალ ფასში ცდილობდა. გავრცელებული ცნობებით, 19 მილიონად.

ახლა, როდესაც ხვიჩას ფასმა მოიმატა, შესაძლოა, მადა ყაზანური კლუბის ხელმძღვანელობასაც გაეზარდოს და კიდევ უფრო მაღალი ფასი დაადოს. ეს, ცოტა არ იყოს, ხვიჩას მყიდველ გუნდებს დააფრთხობს, მაგრამ სანანებლად საქმე ნამდვილად არ უნდა გაუხდეთ.

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიების ავტორი, ღირსების ორდენის კავალერი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

შოთა ხეცურიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიების ავტორი, ღირსების ორდენის კავალერი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

შოთა ხეცურიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება 15 აპრილს, ხუთშაბათს 14 საათზე.

მისამართი: ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. №22.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

დინამო დინამოს კვალში უდგას

დინამო (ბთ)-სამგურალი 2:0
გორი. თენგიზ ბურჯანაძე
1:0 ფანცულაია (5), 2:0 ნიქაბაძე (53)

დინამო: კუპატაძე, მამუჩაშვილი, კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, ჯიღაური (ჩუკვურა 90), ტეიდი, ალთუნაშვილი, მანჯგალაძე (გროცურეკი 56), ფანცულაია (შინდაგორიძე 56), ნიქაბაძე (მჭედლიძე 72)

სამგურალი: ქვილითაია, ქურდაძე, ასათიანი, ბურჯანაძე, ბანძელაძე, გილმორი, ტურე (ლექვთაძე 46), ფონიავა (ვერულიძე 62), კალანდრიშვილი (გაზდელიანი 77), დოლიძე (დ.კირკიტაძე 62), ს.კუხიანიძე (ბუხაიძე 77)

გაძევება: ტეიდი (88)

საქართველოს ჩემპიონატში საჩემპიონო ბრძოლა ორ გუნდს შორის გაიმართება და ეს ორივე გუნდი დინამოა – თბილისისა და ბათუმის.

მე-8 ტურში ზღვისპირელებმა წყალტუბოს სამგურალს უმასპინძლეს, 2:0 დაამარცხეს და თბილისელებთან სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს.

გია გეგუჩაძის გუნდი მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და 3 ქულა მშვიდად მოიპოვა.

უკვე მე-5 წუთზე ანგარიში გიორგი ფანცულაიამ გახსნა, რომელმაც ჯაბა ჯიღაურის ჩაწოდებულ ბურთს თავი შეაგება. ზღვისპირელები პირველ ნახევარში საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და დასკვნით ფაზაში უფრო მეტი სიზუსტით რომ ეთამაშათ, ანგარიშის სხვაობას შესვენებამდე გაზრდიდნენ. მამუკა კობახიძეს, ჯაბა ჯიღაურსა და გიორგი ნიქაბაძეს მომენტები ჰქონდათ.

სამაგიეროდ, მე-2 ტაიმში ბათუმელებმა პირველივე სახიფათო იერიში გოლად აქციეს. მარცხენა ფლანგზე ფანცულაიამ იაქტიურა და მისი პასით ნიქაბაძემ თავით გაიტანა.

ერთადერთი მომენტი, რომლის დროსაც ანგარიშის შეცვლა სამგურალს შეეძლო, 74-ე წუთზე იყო. წყალტუბოელები ორჯერ დაემუქრნენ დინამოელთა კარს: ბათუმელები ჯერ ლაზარე კუპატაძემ იხსნა, მერე კი, დამატებაზე კარის ხაზიდან ერთ მეტრში მდგარმა ირაკლი ლექვთაძემ ბურთი ხარიხას გაარტყა.

88-ე წუთზე მასპინძლები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ, რადგან ბენჟამენ ტეიდმა 9-წუთიან ინტერვალში ორი ყვითელი ბარათი მიიღო და გააძევეს, თუმცა, ამას შედეგზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია და საბოლოოდ, დინამო ბათუმმა 2:0 იმარჯვა და ეროვნულ ლიგაში ერთადერთი გუნდია, რომელიც ჯერ არ დამარცხებულა.

თელავი-დილა 0:2
თელავი. კავკასიონი არენა
0:1 ბიძინაშვილი (32), 0:2 თ.კაპანაძე (90ბ)

თელავი: ჩოჩიშვილი, ც.კაპანაძე, თევზაძე, ფაცაცია (სოსიაშვილი 87), ძოწენიძე (მარაქველიძე 46), შერგელაშვილი, ბაშელეიშვილი (ინჯგია 57), ჯანელიძე, ბაიბალაევი, ხაბულიანი (შეყილაძე 46), კოხრეიძე (არდაზიშვილი 57)

დილა: გუგეშაშვილი, ჭიჭინაძე, ა.სანტოსი (ჩიტეიშვილი 85), სილვა, ეტოუ, ბულრიძე (კამარა 67), ნონდი, ნ.გაგნიძე, ბიძინაშვილი (მოსიაშვილი 85), ღუდუშაური (წოწონავა 60), თ.კაპანაძე

ეროვნული ლიგის მერვე ტურის დასკვნით მატჩში გორის დილა თელავს ესტუმრა და 2:0 დაამარცხა.

გორელებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს. 32-ე წუთზე გორელთა შორის ყველაზე აქტიურმა ბიძინაშვილმა ღუდუშაურის პასით თავისი გუნდი დააწინაურა.

შესვენების შემდეგ თელავმა სცადა ვითარების შეცვლა, რამდენიმე მომენტიც შექმნა, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა. მატჩის ბოლოს კი, კახელთა კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც თორნიკე კაპანაძის წაქცევისთვის დაინიშნა. 11 მეტრიდან თავად კაპანაძემ ზუსტად დაჰკრა.

მომდევნო ტურში ერთმანეთს ლიდერთა ჯგუფში მყოფი გუნდები შეხვდებიან: მესამე ადგილზე მყოფი დილა ბათუმის დინამოს უმასპინძლებს, ხოლო პირველადგილოსანი დინამო მეოთხე პოზიციაზე მყოფ ლოკომოტივს დაუხვდება.

სატუნინიო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	8	6	1	1	15-6	19
2.დინამო (ბთ)	8	5	3	0	10-3	18
3.დილა	8	4	2	2	9-5	14
4.ლოკომოტივი	8	4	2	2	15-13	14
4.საბურთალო	8	2	5	1	9-7	11
6.შუქურა	8	2	3	3	7-8	9
7.სამგურალი	8	1	3	4	5-10	6
8.თელავი	8	1	3	4	6-12	6
9.ტორპედო	8	0	5	3	4-9	5
10.სამტრედია	8	1	1	6	5-12	4

ფუტსალის ნაკრებმა რუსეთთან წააგო

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა ევრო 2022-ის საკვალიფიკაციო ჯგუფური ეტაპი მოსკოვში გამართული შეხვედრით დაასრულა. ჩვენი გუნდი სტუმრად რუსეთის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდა და 0:3 დამარცხდა.

საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე თამაში გარანტირებული ჰქონდა, ამიტომაც რუსეთის დედაქალაქში რამდენიმე წამყვანის ფეხბურთელის გარეშე ჩავიდა. ვერ ვიტყვით, რომ მათი ყოფნით ჩვენი გუნდი მატჩის მიმდინარეობაში სურათს რადიკალურად შეცვლიდა, რადგან რუსები მსოფლიო ვიცე-ჩემპიონები არიან.

მასპინძლებმა უპირატესობა საწყის წუთებშივე მოიპოვეს. მე-2 წუთზე ანგარიში რობინიომ გახსნა, ერთ წუთში კი თორნიკე ბუკიას კარი ანდრეი აფანასიევმა აიღო და ანგარიშში სხვაობა ორ ბურთამდე გაზარდა.

ამის შემდეგ რამდენიმე რეალური შანსი საქართველოს ნაკრებსაც ჰქონდა, მაგრამ გატანა კვლავ რუსებმა შეძლეს. 24-ე წუთზე აფანასიევმა დუბლი შეასრულა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევრო 2022-ის საკვალიფიკაციო ჯგუფური ეტაპი მეორე ადგილზე დაასრულა და არსებობის ისტორიაში პირველად კონტინენტის პირველობაზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

ჯგუფში კიდევ ერთი მატჩია დარჩენილი – საფრანგეთი-სომხეთი. თუმცა, მისი შედეგი სატურნირო ცხრილის მნიშვნელოვან ნაწილზე გავლენას ვერ მოახდენს.

სატუნინიო ცხრილი:

1.რუსეთი	6	6	0	0	26-5	18
2.საქართველო	6	3	1	2	15-15	10
3.საფრანგეთი	5	0	2	3	13-19	2
4.სომხეთი	5	0	1	4	8-23	1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქალაქის თავი, მერი ჩეხეთში; 2. უნგრელი მოჭადრაკე დების გვარი; 3. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 4. საფრანგეთის ნავსადგური ლამანშის სრუტეში; 5. მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი; 11. ყვითელი ფერის დაბალი ხარისხის შაქარი; 12. ავსტრიელი ექიმი, ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 14. ზღვის ღელვისგან დამცავი, გრძელი კედელი ნავსადგურის შესასვლელთან; 16. საქართველოს ეროვნული გმირი; 17. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე მსხვილი კალიბრის საფანტი; 19. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 21. დასაკეცი ჯიბის დანა; 22. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 6. ჩხუბის, აყალმაყალის გამომწვევი ადამიანი; 7. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 8. კოვბოების შეჯიბრი; 9. ქართველი ავტომრბოლელი; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 13. გულის ან ბრონქების დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 15. ასფალტზე სასრიალო, გორგოლაჭებიანი მოწყობილობა; 18. ძვირფასთვლებიანი ქალის თავსამკაული; 20. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 21. გვარი, ჯიში, მოდგმა: 23. უმაღლესი სასულიერო პირი მართლმადიდებელ ეკლესიაში; 24. ცნობილი ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ვიში; 2. ახო; 3. მარასკინი; 4. ფლეში; 5. ზოსტერა; 8. შალე; 9. გიენოსი; 10. დემენცია; 12. ჯორჯია; 13. დვირი; 15. დაზგა.

თარაზულად: 1. ვაქცინა; 6. ვატერლოო; 7. შაშვი; 10. დიანა; 11. ალენი; 13. დანტე; 14. მედეა; 16. ჯანი; 17. ინვაზია; 18. როკაპი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მურვანიძე; 2. მაკბეტი; 3. სენატი; 4. ფრანი; 5. შტირია; 11. ტუნიკა; 12. ტრიუმი; 14. კოკი; 16. ორატორი; 17. მარკესი; 19. დანელია; 21. ჩანგი; 22. შხარა.

თარაზულად: 6. აუტოდაფე; 7. ღირღიტა; 8. ნუერი; 9. კალაძე; 10. ტორტი; 13. ოძეკი; 15. ვოლტიჟიორი; 18. თალმუდი; 20. აკრი; 21. ჩოჩორი; 23. ციცინათელა; 24. სვინგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4232

ევრო — 4.0798

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7114

100 რუსული რუბლი — 4.4334

ამინდის პროგნოზი 14 აპრილისათვის

ბორუსია ჰალანდში 150 მილიონს ითხოვს

დორტმუნდის ბორუსია ერლინგ ჰალანდში 150 მილიონს ითხოვს და უფრო ნაკლებ თანხად მის გაყიდვას არ აპირებს. ჰალანდს საკმაოდ ბევრი მსურველი ჰყავს და მათ შორის არის ბარსელონაც, სადაც ჰალანდის მამა იმყოფებოდა, თუმცა ეს ფაქტი ოფიციალურად არ დადასტურებულა.

ჰალანდმა ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ჯერჯერობით არ სურს ბორუსიიდან წასვლა, მაგრამ მომავალში ის რამდენიმე ვარიანტს განიხილავს.

ლუკას ვასკესი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს



მადრიდის რეალის შემტევი ნახევარმცველი ლუკას ვასკესი სეზონის ბოლომდე არ ითამაშებს, რადგან მისი ტრავმა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა. ვასკესმა დაზიანება ბარსელონასთან შეხვედრაში მიიღო და მოედანი დროზე ადრე დატოვა. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება ის მოედანზე, მაგრამ ფაქტია, რომ რეალს მის გარეშე მოუწევს დარჩენილი შეხვედრების ჩატარება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

საბურთალოს გერმანიაში ნამუშევარი ქართველი გაწვრთნის

გავრცელებული ინფორმაციით, საბურთალოს ხვიჩა შუბითიძე გაწვრთნის. 46 წლის სპეციალისტი კარგა ხნის განმავლობაში გერმანიაში თამაშობდა. ძირითადად, იქაურ დაბალ ლიგებში ირჯებოდა. საუკეთესო გუნდად, გერმანიის მე-2 ბუნდესლიგის წარმომადგენელი აუე ითვლება.

საქართველოშიც აქვს ნათამაშები – შევარდენში ბურთაობდა და საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მაისურიც მოურგია.

შუბითიძე გერმანიაში მწვრთნელადაც მუშაობდა და ჰალეშერის ასაკობრივ გუნდებს თავკაცობდა. ახლა საბურთალოში ლევან კორღალიძეს შეცვლის, ვინც კვირას დატოვა თანამდებობა.

თავად კორღალიძე წასვლის მიზეზად არადამაკმაყოფილებელ შედეგს ასახელებს.

ლევან კორღალიძე:

– ბევრგან დაიწერა და მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საბურთალოდან წასვლა ჩემ მიერ თბილისის დინამო-საბურთალო მატჩის შემდგომ გაკეთებულ განცხადებას არ უკავშირდება. მაშინდელი ჩემი აღშფოთება კონკრეტულად იმ თამაშში მსაჯის უხეში შეცდომების მისამართით იყო გამოხატული. კლუბში არც ფინანსური კრიზისი ყოფილა. უბრალოდ, სეზონის სტარტი ისეთი არ გამოგვივიდა, როგორიც გვსურდა. ბევრი ქულა დავკარგეთ და ვერ ვმოქმედებდით დამაჯერებლად. სწორედ ამის გამო მივიღე გადაწყვეტილება, საბურთალო დამეტოვებინა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

14 აპრილისათვის

ვერძი – ნუ იაქტიურებთ და ნუ იჯიუტებთ. მოულოდნელი ინფორმაცია გეგმებს შეგიცვლით. **კურო** – ყველა უსიამოვნება დავიწყებას მიეცემა. ფორტუნა გიღიმით. განსაკუთრებით უმართლებთ შემოქმედებით სფეროში მომუშავე ადამიანებს. **ტყუპები** – სამსახურში კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი გელით. ეცადეთ, ნებისმიერი პროვოკაცია თავიდან გონივრულად აიცილოთ. **კირჩხიბი** – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ საქმიან შეხვედრებს. ემოციური ფონი ძალზე მაღალია, რაც სწორი დასკვნების გამოტანაში ხელს შეგიშლით. **ლომი** – პროფესიულ საქმიანობაში შეცდომის დაშვების ალბათობა დიდია. საკუთარი პრინციპების დათმობა მოგიწევთ. **ქალწული** – გადაღლილი ხართ. ახლობლების შენიშვნები მშვიდად მიიღეთ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **სასწორი** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. მიენდეთ ინტუიციას. ემოციები აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – ოჯახში არასტაბილური სიტუაციაა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ერიდეთ საქმის გარჩევებს ახლობლებთან. **მშვილდოსანი** – უარი თქვით მოგზაურობასა და მივლინებებზე. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თხის რქა** – აგრესიისა და მკვეთრი გამოთქმებისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. წარმატება მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **მერწყული** – ახალი წამოწყება გაამართლებს. ბედი გწყალობთ. სამსახურში ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას. **თევზები** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ორგანიზმი გაიწმინდეთ. მიირთვით ჯანსაღი საკვები. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მამაკაცი ქალს ღვინოს უსხამს. ქალი ეუბნება:

– ვაიმე, მეტს ვეღარ დავლევ.

– რატომ?

– ფეხები აღარ მემორჩილება.

– რა გეკვეთება?

– არა, მეჩაჩხება...

•••

სასწავლო დაწესებულების რექტორს ურეკავენ და ეუბნებიან:

– თქვენი სტუდენტი გაუპატიურების მცდელობისთვის დავაკავეთ.

– მცდელობის თუ გაუპატიურების დროს?

– მცდელობის.

– მაშინ ეგ ჩვენი სტუდენტი არ იქნება.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– მართალია, რომ ადრე ოპერასა და ბალეტს ვერ იტანდი?

– კი, მართალია.

– და ახლა ამბობთ, რომ შეგიყვარდათ. როდიდან?

– იმ დღიდან, როდესაც კულტურის მინისტრის ხელფასი ავიღე.

•••

ცოლი ქმარს ურეკავს და ეუბნება:

– ძვირფასო, დღეს საღამოს პლასტიკური ქირურგიის საავადმყოფოდან წამომიყვანე.

– კარგი, ძვირფასო, მაგრამ, როგორ გიცნობ?

•••

დაწესებულებაში ტელეფონმა დარეკა. ყურმილი მდივანმა აიღო და მამაკაცის ხმა ეუბნება:

– გამარჯობა, თქვენს უფროსთან მინდა დალაპარაკება.

– სამწუხაროდ, ეგ შეუძლებელია, ადგილზე არ არის.

– როგორ არ არის, ერთი წუთის წინ ფანჯარაში დავინახე!

– იმანაც დაგინახათ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიგა კვენეტაძე: „არა ნამოხვანჰესს!“

მომღერალი და კომპოზიტორი გიგა კვენეტაძე რუსეთიდან ეხმაურება ნამოხვანჰესის მშენებლობასთან მიმდინარე აქციებს:

– მიწას გვიყიდიან! არ გვეკითხებიან! და კიდევ გვემუქრებიან, რომ კანონს თუ გაცდით, დაგარბევთო. საშოვარზე გამოსული მგელივით არ დაგემართოს საქართველოს მთავრობა – იქით არ შეგჭამონ! არა ნამოხვანჰესს!

ნიაზ დიასამიძე: „კომენდანტის საათის დროს აიკრძალოს ყველანაირი ავტომობილით გადაადგილება“

მუსიკოსი და მომღერალი ნიაზ დიასამიძე გამოდის ინიციატივით, კომენდანტის საათის დროს ყველანაირი ავტომობილით მოძრაობა აიკრძალოს:

– სამაგიეროდ, გვაქვს იდეა. თუ ასეთი აუცილებელია, ამ კომენდანტის საათის დროს აიკრძალოს ყველანაირი ავტომობილით გადაადგილება, ხოლო ფეხით შეიძლებოდეს! სიარულის კულტურაც წინ წავა და ავტომობილით გადამეტებულ სარგებლობასაც გადავეჩვევით.

ნინუცა მაყაშვილი ბესო ზანგურს ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებს

მსახიობი ნინუცა მაყაშვილი ყოფილ მეუღლეს, რუსთაველის თეატრის მსახიობს ბესო ზანგურს ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებს. მათ ქორწინებიდან ბიჭი ნოდარიკო ჰყავთ.

ამის შესახებ ნინუცამ ია ფარულავას გადაცემაში „ფარული კონვერტი“ სტუმრობის დროს ისაუბრა. ნინუცას ამ განცხადებას ბესო ზანგური არ გამოხმაურებია.

ნინუცას მხარდაჭერა მსახიობებმა, რეჟისორებმა, თეატრმცოდნეებმა და დრამატურგებმა გამოუცხადეს.

ანა სანაია, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი:

– ოჯახურ ძალადობაზე სრულად თვალს ხუჭავს ის საზოგადოება, ვინც ხალხთან უნდა მიდიოდეს და ძალით დახუჭულს ორი ხელით ახელინებდეს! თეატრალური საზოგადოება, რაც იყავით, ეგ ხართ და ეგ იქნებით კიდევ დიდი ხანი. ძალადობის ყველაზე დიდი მანქანა მუშაობს თეატრის შიგნით. ნინუცა მაყაშვილს ჩემი მხარდაჭერა.

ქეთა შათირიშვილი, სამეფო უბნის თეატრის მსახიობი:

– რუსთაველის თეატრი როგორ რეაგირებს ამ დროს? ისევ ფავორიტ მსახიობად დარჩება ბესო ზანგური? და კვლავ ზურგს გაუმაგრებენ სცენაზე მსახიობები?

კოკო როინიშვილი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი:

– ნინუცა – ბევრჯერ დამიფიქსირებია ჩემი აზრი მოძალადე კაცებზე! და რასაც ვფიქრობ, მაგის დაწერა აქ მიტყდება!

დავით გაბუნია, დრამატურგი:

– შორიდან, ყურმოკვრით, დეტალების გარეშე ყოველთვის ვიცოდი ეს ამბავი და გულით

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ნინო მიქიაშვილი: „ფიროსმანის ნამუშევრები საფრთხეშია!“



ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ეროვნული გალერეის საგამოფენო დარბაზში გამოფენილი ნიკალას ნამუშევრები საფრთხეშია:

– ფიროსმანის ნამუშევრები საფრთხეშია!

რადგან ეროვნული მუზეუმის დამოკიდებულება არაადეკვატურია, მისი მაკონტროლებელი უწყება ვალდებულია იმოქმედოს! საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო – მე სამუზეუმო საქმის ექსპერტებთან, ბატონ ნოდარ ახალკაცთან, მუზეუმის თანამშრომლებთან, გვარებს ვერ ვასახელებ, რადგან ისინი ეროვნულ მუზეუმში მუშაობენ, გავიარე კონსულტაცია, რაზე დაყრდნობითაც აქ, ღიად, საჯაროდ მოგმართავთ და განცხადებას ელექტრონული ფოსტითაც გამოგიგზავნით.

საგამოფენო სივრცეში, როცა კედელი ნესტიანდება, ფარდობითი ტენიანობა დასაშვებზე მაღლა იწევს და ნამუშევარს პრობლემა ექმნება, რომელიც შესაძლებელია იმ წუთში ხილულად არ გამოვლინდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში მასზე უარყოფითად აისახება. ფსიქომეტრით ტენიანობა უნდა გაიზომოს და თუ აღმოჩნდება, რომ ფარდობითობა 70 პროცენტს გადაცდენილია, საგამოფენო სივრციდან ყველა ნახატი უნდა ჩამოიხსნას.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. უბანი თბილისში; 2. მოწითალო ყვითელი ფერის თმის საღებავი; 3. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. ფულის ერთეული ვიეტნამში; 5. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 8. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. გერმანელი კომპოზიტორი, ოპერა „ვალკირიას“ მუსიკის ავტორი; 10. ისტორიული ციხესიმაგრე ზესტაფონის რაიონში; 12. დაბალი ხარისხის შაქარი; 13. ხელოვნური გამოქვაბული პარკებში; 15. ყვითელი, წვნიანი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

თარაზულად: 1. მრავალმხრივი ცოდნის, ღრმად განსწავლული ადამიანი; 6. იუმორისტული საგაზეთო პუბლიკაცია; 7. სამხედრო გადატრიალების მომწყობ, შეთქმულთა ჯგუფი; 10. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 11. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 14. ხორბლის ქართული ჯიში; 16. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე; 17. ბუნებრივი განიავება, ვენტილაცია; 18. ესტონეთის დედაქალაქი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა